საქართველოს
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 159 (438) პარასკევი, 21 აგვისტო, 1992 წელი. ფასი 2 მანეთი

წუხელ შეიტყვეთ

საუბარი საქართველოს სახელმწიფო საბჭოში

20 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების საქართველოს ეკონომიკური დახმარების ფონდის წარმომადგენლები.

ფონდი ხელს უწყობს ექიმთა სწავლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას, რესპუბლიკის მოსახლეობის უზრუნველყოფას მედიკამენტებით, სამკურნალო პროცესის სრულყოფას, პრაქტიკულ დახმარებას უწევს ჯანმრთელობის დაცვას.

ედუარდ შევარდნაძემ საუბრისას აღნიშნა ამგვარი დახმარების მნიშვნელობა ქვეყნისათვის, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ, გახდა დამოუკიდებელი და აღმოჩნდა მრავალი სერიოზული პრობლემის წინაშე, მადლობა გადაუხადა სტუმრებს ვიზიტისა და საქართველოსადმი კეთილი დამოკიდებულებისათვის, იმ მისწრაფებისათვის, რომ ხელი შეუწყონ რესპუბლიკის მოსახლეობის სამკურნალო-პროფილაქტიკური დახმარების ხარისხის ამაღლებას.

●

საქართველოს წინააღმდეგ არავითარ ალიანსში არ მივიღებთ მონაწილეობას

— ასე განაცხადა ჩეჩნეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ჰუსეინ მარაევმა. — ცილისწამებაა, როცა რუსეთის პრესა და ტელევიზია აცხადებს, თითქოს გროზნოში იქმნებოდეს შეიარაღებული რაზმები აფხაზეთის დასახმარებლად. ასეთი სანქცია ჩეჩნეთის ხელისუფლებას არ გაუცია. ჩვენ საქართველოსთან მშვიდობიანი და კეთილმეზობლური ურთიერთობის მომხრე ვიყავით და ვართ.

ბატონი ჰუსეინ მარაევი 21 აგვისტოს ჩამოდის თბილისში, რათა ოფიციალურად დაუდასტუროს საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებას ჩეჩნეთის მთავრობის კეთილგანწყობა.

●

სოხუმში შეიქმნა საქინფორმის პრესცენტრი

აფხაზეთში რთულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებით ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის ოპერატიული და ობიექტური ინფორმაციის მიწოდების მიზნით სოხუმში შეიქმნა საქინფორმის პრესცენტრი.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

ნომერში

⊙ ისტორიაში პირველი რესპუბლიკური საკანონმდებლო აქტი. 2

⊙ ხმა ერის გასაგონად. 3

დღეს იყო გუშინ...

რეპორტაჟი სოხუმიდან

სოხუმის სახლების სახურავებზე 18 აგვისტოს განუწყვეტლივ ბარაჟირებდნენ რეაქტიული „მიგები" და სინოპის მთის კიპარისები ლამის უფხაჰნიდნენ ალრიალებულ ფიუზელაჟებს.

2.

ავიაგამანადგურებლები რუსეთის ფედერაციის სამხედრო-საჰაერო ძალებისაა. იცავენ ამ ქვეყნის სამხედრო და სამოქალაქო ობიექტებს, შეთანხმებისამებრ.

ჩანს, აუცილებელია დაცვა, რადგან წინა ღამით აფხაზი ექსტრემისტები თავს დაესხნენ ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის საწყობს და 1.000 ავტომატი გაიტაცეს. იმ იარაღით, ჩვენ გვესვრიან, ჩვენს ბიჭებს.

შტაბი. ტელეფონის ზარი. ეძებენ შტაბის წარმომადგენელს. ადგილზე არავინაა. მარტო ჟურნალისტები ვართ. მოითხოვენ — მოუსმინეთ, ძალიან მნიშვნელოვანი ცნობა უნდა გადმოგცეთო.

ჩვენ რა შუაში ვართ? დარეკონ ცოტა ხნის მერე. არა, მაინცდამაინც ახლაო.

ასე, უნებურად გავხდით საყურადღებო ინფორმაციის მფლობელი იმის თაობაზე, რომ რუსეთის არმიის 345-ე საპარაშუტო-სადესანტო პოლკის დამატებითი ძალები უნდა შემოიყვანონ აფხაზეთში რუსეთის ობიექტების დასაცავად. გადაადგილების მარშრუტი და დრო ბატონ თენგიზ კიტოვანს უნდა შევუთანხმოთ და მოახსენეთო.

ამასობაში გამოჩნდნენ ჩვენი სამხედროები და გადაიბარეს ეს საქმე.

მთელი დღე ფრენდნენ „მიგები" ხელის აწვდენაზე ლამის.

აეროპორტი ჩაიკეტა ავიაგამანადგურებლების სამოქალაქო თვითმფრინავებთან შეჯახების საშიშროებისა გამო.

გვარდიელებს შორის — ნაცნობი სახეები. ეს ჰალარაწვეროსანი, სათვალიანი ოფიცერი სენაკის რაიონის საკრებულოს გამგეობის თავმჯდომარეა — შალვა კეკელია. უკვე მანქანაში ზის.

— რატომ ხართ აქ, კი ვხვდები, მაგრამ მაინც თქვენგან მინდა გავიგო...

— სენაკიდან მოხალისეები ჩამოვედით, ეროვნულ საქმეს გვინდა შევაშველოთ ხელი. ფაქტობრივად მთელი ჩვენი კუთხის კონსოლიდაცია მოხდა, მთელი სამეგრელო ერთად ვართ, ყოფილი პრეზიდენტის მომხრეებიც ჩვენთან არიან.

— 23 ივლისის სირცხვილი სენაკში...

— მე მგონი, ცოტათი გამოისყიდეს. — ეღიმება, ჩანს კმაყოფილია, ასე რომ მოხდა.

ეს ნუგზარ მგალობლიშვილია, საქართველოს ყოფილი პარლამენტის დეპუტატი, ჩვეულებრივზე მეტად გამხდარი, რამდენიმე დღის წვერგაუპარსავი.

— თქვენც აქა ხართ, ბატონო ნუგზარ?

— აქ უნდა ვიყო.

— როგორ აფასებთ შექმნილ მდგომარეობას?

— არ არსებობს სახელმწიფო, რომლის საზღვრებს არ იცავდეს მისივე სახელმწიფო ჯარი, აქ არაფერია გასაოცარი და გასაკვირი. პირიქით, იგივე აფხაზს უნდა შეეწყო ხელი, რომ აფხაზეთის ტერიტორია საქართველოს შეიარაღებულ ძალებს დაეცვა. მაგრამ, სამწუხაროდ, ბლოკ „სოიუზის" მესვეურებმა და თვითონ არძინბამ თავისსავე ხალხს უღალატეს და ამოდენა ტანკს ავტომატიანი ახალგაზრდები დაუხვედრეს. ამას გვიკარნახებდნენ „სოიუზის" ლიდერები — სისხლი უნდა დაიღვაროს, სხვაგვარად სახელმწიფოს არ შეუძლია არსებობაო.

არძინბამ შექმნა საჯარისო ფორმირება, სამინისტროს სტრუქტურაში შემავალი ჯარი დაექვემდებარა დიქტატორ არძინბას. ამით მან ძალაუფლების უზურპაცია მოახდინა, რათა განეხორციელებინა ბლოკ „სოიუზის" დავალებები, რომლის აქტიური წევრიც თვითონ იყო.

შედეგები სახეზეა: მან ხელყო ქართული სახელმწიფოს მთლიანობა.

კარგა ხნის წინ ვუთხარი არძინბას, რომ იგი აფხაზეთს დატოვებს, როგორც აფხაზი ხალხის მტერი. ეს სრულდება დღეს. გულწრფელად ვუცხადებ სამძიმარს იმ გაუბედურებულ აფხაზ და ქართულ ოჯახებს, რომლებიც დღეს შავებით შეიმოსა. ჩვენ აფხაზ ხალხთან საომარი არაფერი გვაქვს, ისევე, როგორც მათ — ჩვენთან. მივუსამძიმროთ ერთმანეთს, რათა მომავალში მშვიდობა იყოს. მე ვიცნობ აფხაზის ბუნებას, მისი ცხოვრების წესს, და ამიტომ, ვამბობ ამას. ამ შავ დღეს ჰყავს, როგორც ვთქვი, თავისი ავტორი. ჭკუის სასწავლებელია ეს ყველაფერი.

ლელა ცირეკიძე სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ეკონომიკის კათედრის ასპირანტია. დღეს შტაბის წევრებს ეხმარება. ბიჭებს ავტომატი გამოართვა, ცოტა შეშინებულმა გადაიკიდა, მიხდება თუ არაო, იცინოდა.

რა ვიცი, ლელა, ამ ფოტოს ვაქვეყნებთ, შეხედე, გიხდება?

სოხუმის ქუჩებში აგვისტოს თვრამეტს სიცარიელე!





სურათებზე: ფიქრი; უხდება ავტომატი ლელა ცირეკიძეს?; პროვინციელი დიქტატორის კაბინეტი; ასე თუ გაყრი მაროდიორებს.

სერგო ედიშერაშვილის (საქინფორმის ფოტოქრონიკა) და ავტორის ფოტო.

მკვდარია ქალაქი. უმოძრაო: ძარღვებში გაყინული სისხლი.

გადმოპირქვავებული სიცარიელე გამონაყონი ლექით. ბაზრებსა და ლუდხანებს მიტმასნილი ბროდიაგების, კლოშარების, ბომჟების, ლოთების ინტერბრიგადები ჯგუფ-ჯგუფად და ცალ-ცალკე ძარცვავენ ვიტრინებჩამტვრეულ მაღაზიებს.

პირველი შიში დაძლიეს, ცხვირები გამოყვეს, დაყნოსეს, და არავინ რომ არ დააფრთხო, უკაცრიელ ქუჩებს ვირთხებივით მოედვნენ მაროდიორები. ისე გულდინჯად გამოჰქონდათ ნაქურდალი, თითქოს საკუთარიაო.

გადაირია რუსთავის ბატალიონის პოლკოვნიკი დავით გოლუბიანი, „უაზი" გააჩერებინა, გადმოხტა და ჰაერში მიუშვა ჯერი. ჯერ დაიბნენ შეზარხოშებული თუ მუდმივად მთვრალი ქურდები, არცთუ ახალგაზრდები და არცთუ მაინცდამაინც ქაცები, ნაქურდალით გარბოდნენ, ავტომატის მეორე ჯერმა დააყრევინა საქონელი. გაიქცნენ ხელცარიელები.

— აი, ასე ძარცვავენ, — წუხს ზაზა კიკნაძე, „უაზის" მძღოლი, გვარდიელი, — მერე ჩვენ დაგვაბრალებენ.

სიკვდილის შიში იყო მშვიდობის ქუჩაზე სოხუმში, სახლებში ჩასაფრებული აფხაზი სნაიპერების მიერ დათესილი.

აფხაზეთის უზენაესი საბჭოს წინ გაგვაფრთხილეს სახლებს ამოფარებულმა სოხუმლებმა: შენობაში სნაიპერები სხედან და ისვრიან, მიხედეთო.

მივხედეთ.

შევდივართ ვესტიბიულში მე და კომპანია „ვოლდვაიდ ტელევიჟენ ნიუს" („მსოფლიოს სატელევიზიო ახალი ამბები") კორესპონდენტი გიორგი ვარძელაშვილი.

სნაიპერებს არ გვანან. უცნაურად ფუსფუსებენ: ჩამოაქვთ ტელევიზორი, ახალი სკამები, არცთუ ახალგაზრდა კაცი ხალიჩას ახვევს. ყურადღებასაც არ აქცევენ ჩვენს ტელე და ფოტოკამერებს. ქურდები არიან, ჩვეულებრივი, თანაც ცინიკოსები.

მაგათთვის არ გვცალია, გვარდიელები მიხედავენ.

ავდივართ მესამე სართულზე.

არძინბას კაბინეტი ყოფილი პარტიის საოლქო კომიტეტის შენობაში, ყოფილი პირველი მდივნის, პროვინციელი ფუნქციონერის სამუშაო ოთახი. ისეთივე უსახო და ცივი, როგორც გამსახურდიასი, წლევანდელი 6 იანვრის დილას.

ცარიელი, ყველა პატარა დიქტატორის სიცარიელით. და ცოდვით სავსე. გადადგომის შიშის გამწარებით, გაბოროტებით, გაავებით, დაბნეულობითაც...

გაიქცა, დაიმალა. ამბობენ ეშერაში, დანაღმულ გუმისთას გადაღმა... ბოროტება კი, მის მიერ დათესილი, დადის აფხაზეთში: 18-ში შვიდის 15 წუთზე გალის რაიონის სოფელ ტამიშთან, ქუთაისის ბატალიონის მეომრებს, რომლებიც სურსათის ქარავანს აცილებდნენ, ჩასაფრებულმა ბოევიკებმა ცეცხლი გაუხსნეს. მოკლულია ოთხი, ორი დაიჭრა, 3 ვერ იპოვეს. გვიამბობდა ამას მიხეილ ჭიჭინაძე, ამ ბატალიონის ჯარისკაცი, თავდასხმიდან ერთი საათის შემდეგ, თან პირჯვარს იწერდა: — ღმერთო, გადაარჩინე პავლე გარუჩავა... მძიმედ დაჭრილი მეგობარი გალის საავადმყოფოში დაუტოვებიათ.

დღეს რისკის გაწევა სოხუმში ჩვეულებრივ ამბადაა მიჩნეული. მურად ანჯაფარიძემაც, აფხაზეთის ავტოინსპექციის უფროსმა, მარტომ იკისრა იმ საღამოს აეროპორტში ჩვენი წაყვანა, თითქოს მშვიდობა სუფევდა მანდარინის ბაღებში.

რისკი მაინც რისკია.

დაეშვა თუ არა „იაკ-40" სოხუმის აეროპორტში, გამოირთო (თუ გამორთეს?) ელექტროენერგია, ყველგან, აბსოლუტურად; გადმოიქცა და გადმოიღვარა შავი ზღვა თითქოს.

ასეთ უკუნეთში აფრინდა სოხუმ-თბილისის რიგგარეშე რეისი.

— ეგ არაფერი, — მითხრა ხომალდის მეთაურმა ბონდო ბუზალაძემ, — ჩაგიყვანთ და ისევ უკან უნდა დავბრუნდეთ.

მეორე მფრინავი გია კობეშავიძეა, ბორტინჟინერი ანდრია ტიხაევი.

იყო ღამის პირველი საათი და თბილისს არ ეძინა აფხაზეთიდან ამბების მოლოდინში. ეს იყო დღეს... თუ გუშინ?..

ა. ძალიძე.

სოხუმი-თბილისი.

მამულიშვილობა

ვემსახუროთ ერთადერთ სამშობლოს — ჩვენს საქართველოს!

ღია წერილი რუსეთის ჯარში მომსახურე ყველა ქართველ ოფიცერს

ძვირფასო მეგობრებო, ჩვენო თანამემამულენო!

თქვენდამი ჩვენი მიმართვის მიზეზი გახდა რესპუბლიკაში შექმნილი რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება, რომელიც გარკვეულწილად იმით არის გამოწვეული, რომ ქართული რეგულარული არმია არა გვყავს.

ჩვენი მრავალტანჯული, ქარტეხილებგამოვლილი სამშობლო — საქართველო დღეს კვლავ უკიდურეს განსაცდელშია. ქართველი ხალხი ზნეობრივი, ფსიქოლოგიური და ფიზიკური გაძლების ზღვარზეა, რესპუბლიკაში გაჩაღებულმა ძმათამკვლელმა ომმა ნანგრევებად აქცია მრავალი თაობის ნაშრომ-ნაჯაფი. ქვეყანა დაიყო კუთხეებად. გათიშვის, კონფლიქტების, გაუგებრობის, სიძულვილის ატმოსფერომ მოიცვა საზოგადოებრივი ცხოვრების არაერთი მხარე.

საქართველოს დამოუკიდებლობა შეშურდა ჩვენს ზოგიერთ მეზობელს, რომლებმაც კიდლის სამიზნედ გაიხადეს საქართველოს საზღვრები. ეგრეთ წოდებულმა მესამე ძალამ სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაგვკიდა სამაჩაბლოში მცხოვრებ ოსებთან, შუღლი და ღვარძლი ჩაგვითესა ჩვენთან ერთად ოდითგანვე ერთ მიწაზე მცხოვრებ აფხაზებთან.

უნდა ითქვას, რომ ბევრი პრობლემა, რომლებიც ზემოთ ვახსენეთ, თავისთავად მოიხსნებოდა, საქართველოს, მისი გეოპოლიტიკური მდებარეობის შესაბამისი, თუნდაც რიცხობრივად მცირე რეგულარული არმია რომ ჰყოლოდა.

ჯარს, როგორც სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთ გამომხატველ ნიშანს, საქართველოსათვის განსაკუთრებული, საარსებო მნიშვნელობა აქვს.

დილეტანტიზმი საქმიანობის ყველა სფეროში დამღუპველია, სამხედრო საქმეში — მით უფრო. ქართული ჯარი კი უქართველოფიცრებოდ ვერ შეიქმნება.

რამდენიც შეგვეძლო, თავი არ დაგვიზოგავს.

თადარიგიდან, ვინც მოისურვა, გავიწვიეთ, რუსული ჯარიდან მსურველები მოვიდნენ — მივიღეთ, მაგრამ დღესდღეობით ეს ზღვაში წვეთია.

შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი თქვენზედაც ბევრად არის დამოკიდებული — დღეს სხვა ქვეყნის ჯარში მომსახურე ოფიცრებო, თანამედროვე არმიის გამოცდილო სპეციალისტებო!

კვლავ გვინდა შეგახსენოთ: საქართველოს უბედურების შემყურეს რა გული გიძლებთ სხვა ქვეყნის ჯარში?

ნუთუ უკრაინელი და ბელარუსი ოფიცრების მაგალითმა, ეროვნულ მთავრობათა პირველსავე მოწოდებაზე რომ გამოცხადდნენ თავიანთი ქვეყნების ეროვნულ არმიაში, არ დაგაფიქრათ, არ გააწითლა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში მომსახურე სამასამდე ქართველი ოფიცერი? მათ შორის ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბში მომსახურე ქართველი პოლკოვნიკები და გენერლები? საინტერესოა, რა გუნებაზე უნდა დადგეს ის ქართველი ოფიცერი, რომელიც საქართველოს პარლამენტის არჩევაში ვერ მიიღებს მონაწილეობას, როგორც უცხო ქვეყნის ჯარში მომსახურე ოფიცერი.

რა ვიფიქროთ იმის გარდა, რომ ისინი უკრაინელებზე და ბელარუსებზე ნაკლები პატრიოტები არიან?!

ვის ემსახურებით, ქართველო ოფიცრებო? რას უცდით?

იმას, რომ მოხვალთ ხვალ, როცა დალხინებული ცხოვრება გვექნება? ეკადრება კი ამგვარი რამ ცოტნე დადიანის შთამომავალთ? გონს მოდით, ძმებო, სანამ გვიან არ არის. დაეხმარეთ საქართველოს იმით, რაც ყველაზე უფრო გეხერხებათ და შეგიძლიათ.

დაეხმარეთ მაშინ, როცა მას ყველაზე უფრო უჭირს, და მაშინ, როცა მას ყველაზე მეტად სჭირდებით. ეს თქვენი მამულიშვილური ვალია.

სანამ ახალგაზრდები და ჯანმრთელები ხართ, სხვას გინდათ ემსახუროთ, შემდგომში, ხანში შესულნი კი საქართველოში პენსიის მისაღებად ჩამოხვალთ? თქვენ კი დღეს სჭირდებით ერს, ქვეყანას, სადაც თქვენი აკვანი დაირწა და სადაც ფეხი აიდგით. სჭირდებით, როგორც დამოუკიდებელი საქართველოს ოფიცრები.

იქნებ არ აპირებთ საქართველოს მოქალაქეობის მიღებას? ვიმედოვნებთ, რომ ასეთი ეჭვი უსაფუძვლოა და ისევე, როგორც ყოველ ადამიანში, თქვენშიც ღვივის მამულის სიყვარული.

დღეს თქვენი განზე დგომა თავისუფლებისაკენ ქართველი ხალხის საუკუნეობრივ მისწრაფების უგულებელყოფის, გნებავთ — ღალატის ტოლფასია. ასეთ გულგრილობას კი საკუთარი შვილებიც არ გაპატიებენ.

მოგვიტევეთ, თუ ემოციები და განცდები მძლავრობს ამ ჩვენს წერილში. რა ვქნათ, მწვავედ, მტკივნეულად განვიცდით უცხო ჯარში თქვენს დაყოვნებას.

არა, ჩვენ არ ვაპირებთ თქვენს ქართულ ჯარში მოზიდვას დეკრეტირებით.

ეს ჩვენი პირველი მოწოდება არ არის. ნურავინ ეცდება, შემდგომში თავი იმართლოს, „არ გამიგია, არ წამიკითხავსო" და ასე შემდეგ. საქართველოში თქვენ ნათესავები და ნაცნობ-მეგობრები გყავთ. თუ მათ საქართველო უყვართ, თუ ისინი თქვენს და სამშობლოს ბედზე ფიქრობენ, ჩვენს მოწვევას უთუოდ გაგაგებინებენ.

გაიგებთ და, ალბათ, ზნეობრივი ალღო არ გიღალატებთ, ქართულ ჯარში მოხვალთ. დროა ვირწმუნოთ საქართველოს დამოუკიდებლობა, ქართული ჯარის შექმნის აუცილებლობა.

დავდგეთ მხარდამხარ ერთ მწყობრში, ვემსახუროთ ერთადერთ სამშობლოს — თქვენს და ჩვენს საქართველოს. მოვახმაროთ მას ჩვენი სამხედრო ნიჭი, უნარი და გამოცდილება.

დაე, ქართველთა ერთიანობა — ჩვენი ქართველი ოფიცრებისა და ჯარისკაცების საერთო ძალისხმევით დაიწყოს.

ასეთია ჩვენი გულისთქმა და მასზე საუკეთესო პასუხი იქნება თქვენი პრაქტიკული მოქმედება, ეროვნული შეიარაღებული ძალების შესაქმნელად გადადგმული თქვენი გაბედული ნაბიჯები.

ქართველი ოფიცრები **თორნიკე პაპავა, თემურ ქავთარაძე, დიჟონი ბარბაქაძე, ოთარ გვალია, იზანი ცერცვაძე, ნოდარ მაისურაძე, ზაურ უჩაძე, ნოდარ თათარაშვილი, თამაზ მესაბლიშვილი, ოთარ გუმბერიძე, იოსებ ბარნაბიშვილი, შოთა ბაიაძე.**

სულ ხელს აწერს 81 კაცი.

ჭამა ქონებაზე პკიდია, ქონება — მუხლჩაუხრელ შრომაზე

ხორბალი გვეკარგება

გორის რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობების შრომითმა კოლექტივებმა წელს გადაწყვიტეს 9000 ტონაზე მეტი ხორბალი ჩააბარონ სახელმწიფო ბეღელს. მათ კარგად ესმით, თუ რა საარსებო მნიშვნელობისაა ამ ვალდებულების შესრულება. 19 აგვისტოს, მონაცემებით, მხოლოდ 1650 ტონა ხორბლის ჩაბარება შეძლეს.

— საწვავის მწვავე დეფიციტის გამო, მოწეული ხორბლის სახელმწიფო ბეღელში ჩაბარება ფერხდება. ლია ცისქვეშ, მინდვრად ხორბლის დატოვება სახიფათოა, გაგვიჭირდება დაცვა, — გვითხრა გორისა და მისი რაიონის გამგეობის თავმჯდომარემ ვალიკო დოლიაშვილმა, — სოფლის მეურნეობის მუშაკები დარაზმული, მობილიზებული არიან. პური ჰაერივით რომ სჭირდება საქართველოს, ეს კარგად ესმით, მაგრამ რა ქნან, როდესაც ბენზინით ვერ ვეხმარებით, როგორ მოზიდონ ტონობით ხორბალი წისქვილკომბინატამდე. რაიონის სოფლების უმრავლესობა ამ ობიექტს 80-85 კილომეტრით არის დაშორებული. ყოველ სატვირთო ავტომანქანას დღეში სულ ცოტა 50 ლიტრამდე ბენზინი ესაჭიროება. ჩვენ კი, დღეს გრამებს ვეძებთ. მდგომარეობა მეტად კრიზისულია, ხორბალი გვეკარგება.

— დახმარებისთვის მივმართეთ „საქნავთობპროდუქტების" კონცერნის ხელმძღვანელობას, მაგრამ უშედეგოდ — მათ ყოველგვარი იმედი გადაგვიწურეს, — საუბარს განაგრძობს გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ელგუჯა ვეშაპური. — ახლა ხორბლის მინდორში დატოვება ღალატის ტოლფასია, საწვავის უქონლობის გამო, გვიჭირს მეურნეობისთვის ფქვილის მიწოდებაც და შემდეგ გამომცხვარი პურის სავაჭრო ობიექტებამდე მიტანა. ამავე მიზეზით თითქმის პარალიზებულია სასწრაფო სამედიცინო სამსახურიც. სამაჩაბლოს სოფლებსაც ველარ ვაწვდით ფქვილს და სხვა აუცილებელ პროდუქტებს. ბენზინის მწვავე კრიზისმა საგრძნობლად შეაფერხა სამაჩაბლოში მიწისძვრითა და ომის შედეგად დანგრეული ასობით საცხოვრებელი სახლის აღდგენა. ცხინვალის რეგიონში სამშვიდობო მისიით შესული ქართული ბატალიონიც დახმარებას გვთხოვს, მაგრამ ველარ ვუგზავნით ბენზინს, რადგან ყოველგვარი მარაგი ამოგვეწურა.

— ამ კრიზისის დროს, მაინც ოპტიმისტებად ვრჩებით. გვწამს, მდგომარეობა გამოსწორდება. იმედის სხივი ჩაგვისახა საქართველოს სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დასახულმა ღონისძიებამ ნავთობპროდუქტებით მომარაგების მექანიზმის ფუნქციონირებაში ხარვეზების დაუყოვნებელი ლიკვიდაციის თაობაზე, — თქვა საუბრის დასასრულს გორის რაიონის თავკაცმა ვალიკო დოლიაშვილმა.

თემო ნაფიშვილი.

ადამიანის უფლებების დაცვა — უპირველეს ყოვლისა

საზოგადოებრივ ინტერესთა ფართო წრემ, თანამედროვე ცხოვრების საჭირბოროტო საკითხების განხილვის სურვილმა შეკრიბა ერთად ჰელსინკის მოქალაქეთა ასოციაციისა და სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის წევრები, რომელთა დიალოგმა ფართო რეზონანსი გამოიწვია. ჰელსინკელმა სტუმრებმა თბილისში გამართულ საერთაშორისო სემინარზე ყურადღება გაამახვილეს კავკასიის რეგიონში ადამიანთა მოტაცების აღმაშფოთებელ ფაქტებზე, სომხეთ-აზერბაიჯანის ომის დროს ტყვედ ჩავარდნილი ადამიანების მდგომარეობაზე, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოვალეობებსა და სახელმწიფო ორგანოების ჩარევის პერსპექტივებზე.

სემინარი გახსნა და სიტყვა წარმოთქვა ჰელსინკის მოქალაქეთა ასოციაციის „ტრანსკავკასიური დიალოგის" თავმჯდომარემ მარი ვალდორმა. სემინარმა შექმნა ცალკეული კომისიები და მიიღო სათანადო დადგენილებები.

სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტმა გიორგი კერვალიშვილმა აღნიშნა, რომ ასეთი დიალოგი ხელს შეუწყობს მშვიდობის განმტკიცებას და ადამიანის უფლებების დაცვის სახელმწიფოებრივი საკითხების მოწესრიგებას.

მოკლეფეხება ტყუილი!

ანუ როდის იყო და არის სწორი და გულწრფელი ექსპრეზიდენტი — 1989 წელს თუ ახლა?

ბატონებო!

წავიკითხე თქვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში დიზაინერ დავით ყორყოლიანის პასუხი შეკითხვაზე — რამდენად მართებულია ექსპრეზიდენტის ზ. გამსახურდიას მოწოდება მსოფლიოს ხალხებისადმი — გენოციდისაგან დაიცვან მცირერიცხოვანი, მრავალტანჯული აფხაზი ხალხი?

დ. ყორყოლიანი ამტკიცებს, რომ ზ. გამსახურდია თურმე „მხარს უჭერს ქართული გვარდიის შესვლას აფხაზეთში, მაგრამ წინააღმდეგია აფხაზი ხალხის გენოციდისა".

როგორ გეკადრებათ! პირველი სწორედ გამსახურდია იყო, ვინც ამას მოუწოდებდა ქართველ ხალხს. მე ჩაწერილი მაქვს მთელი მისი გამოსვლა მიტინგზე, 1989 წლის აპრილში, სადაც იგი ერადაც არ მიიჩნევს აფხაზებს.

აი, ბატონო დავით, სიტყვასიტყვით, რას ამბობდა მაშინ თქვენი „არასწორად გაგებული" ექსპრეზიდენტი: „დღეს, დაგუშინ აქ **გამოითქვა რამდენიმე აზრი აფხაზების, როგორც ერის შესახებ. არის თვალსაზრისი ჩვენში, რომ არსებობს აფხაზი ერი... აფხაზი ერი ისტორიულად არასოდეს არ არსებობდა. სახელწოდება აფხაზი არასწორად იხმარება აფსუას ტომთან დაკავშირებით. აფსუა, ანუ აფხაზი ეს არის ჩრდილოეთკავკასიური, ადიღეური მოდგმის ტომი, და ჩვენ არც ერთი ტომის თვითგამორკვევის წინააღმდეგი არა ვართ, თუ ის ერად ქცევას ლამობს, მით უმეტეს, თუ მას აქვს ერის გარკვეული ნიშნები დღეს, ოღონდ მის ისტორიულ ტერიტორიაზე — ჩრდილოეთ კავკასიაში. მე გთხოვთ, აქ გამომსვლელებს, თუ ვინმე მოინდომებს ამ ჭეშმარიტების სხვაგვარად წარმოდგენას, არ მოუსმინოთ! აფხაზი ერი არ არსებობს!"..**

ასე ამბობდა ზ. გამსახურდია. თუ დიზაინერი პოლიტიკაში ვერ ერკვევა, ან არ ახსოვს ის, რაც ხელს არ აძლევს, თქვენ მაინც ხომ უნდა იცოდეთ ჭეშმარიტება, ბატონო რედაქციის მუშაკებო?

ვაჟა განუგრავა,
პედაგოგი.

თურქეთი საქართველოს მთლიანობის მომხრეა

ანკარა. 20 აგვისტო. (იტარ-საკდესის კორ. სერგი ფეოკტისტოვი). თურქეთმა შეშფოთება გამოთქვა ქართველთა და აფხაზთა შორის დაძაბულობის გაძლიერების გამო. დღეს გაზეთ „თერქიშ დეილი ნიუსში" გამოქვეყნებულ თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში ხაზგასმულია, რომ ანკარა საქართველოსგან აფხაზეთის გამოყოფის წინააღმდეგია. თურქეთის რესპუბლიკა, აღნიშნულია დოკუმენტში, მხარს უჭერს სახელმწიფოთა ტერიტორიულ მთლიანობაზე დაფუძნებულ დემოკრატიულ სტრუქტურებს.

განცხადებაში გამოთქმულია იმედი, რომ უთანხმოება ქართველთა და აფხაზთა შორის მშვიდობიანი დიალოგის გზით მოგვარდება, საერთაშორისო კანონიერებისა და ადამიანის უფლებათა პატივისცემის პრინციპების საფუძველზე.

პროკურატურის უმთავრესი ფუნქცია

სახელმწიფო საბჭომ დაამტკიცა „საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის დროებითი დებულება“ — ისტორიაში პირველი რესპუბლიკური საკანონმდებლო აქტი, რომელმაც შეცვალა აქამდე ჩვენს რესპუბლიკაში „ინერციით“ მოქმედი კანონი სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ. ამის შედეგად სხვა დარგებთან ერთად ხდება მნიშვნელოვანი ცვლილებები პროკურატურის ორგანოების ფუნქციებში საერთო ზედამხედველობითი საქმიანობის სფეროშიც. ამ ცვლილებების თაობაზე გვესაუბრება საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის საერთო ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი აკაკი დაუთაშვილი.

— რა ფუნქციებს მოიცავს ცნება „საერთო ზედამხედველობა“?

— ამ ტერმინით აღინიშნება პროკურატურის ის ფუნქცია, რომელიც ბევრ სპეციალისტს პროკურატურის უმთავრეს ფუნქციად მიაჩნია და არცთუ უსაფუძვლოდ. თავად განსაჯეთ: „დროებითი დებულების“ მე-2 მუხლში, რომელიც განსაზღვრავს საპროკურორო საქმიანობის ამოცანებს მის მთლიანობაში, მითითებულია, რომ საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის უმთავრესი ამოცანაა უზრუნველყოს რესპუბლიკაში კანონიერება და დაიცვას: ა) საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი წესწყობილება, მისი სუვერენიტეტი; ბ) საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული და გარანტირებული მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებები; გ) ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებების, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების უფლებები. ეს ამომწურავი ჩამოთვლაა, რაც მოცემულია კანონში. ახლა ვნახოთ, აქედან რა „წილი“ მოდის საერთო ზედამხედველობაზე. ეს ფუნქციები განსაზღვრულია „დროებითი დებულების“ მე-3 და მე-14 მუხლებით. მე-3 მუხლის 1-ელ პუნქტში ჩაწერილია, რომ საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი და დაქვემდებარებული პროკურორები ახორციელებენ ზედამხედველობას საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროების, დეპარტამენტების, საკონტროლო ორგანოების, უწყებების, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების, პოლიტიკური, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, თანამდებობის პირების და მოქალაქეების, კოოპერაციული, სამეურნეო-კომერციული საქმიანობის მონაწილე იურიდიული პირების მიერ კანონების ზუსტად და ერთგვაროვნად შესრულებაზე, ასევე მათ მიერ გამოცემული აქტების კანონიერებაზე“. მე-14 მუხლი რამდენადმე აკონკრეტებს ზემოთქმულს და მიუთითებს, რომ პროკურორი ზედამხედველობას ახორციელებს ზემოთ ჩამოთვლილი ორგანოების, იურიდიული პირების და თანამდებობის პირთა მიერ გამოცემული აქტების შესაბამისობაზე საქართველოს რესპუბლიკის მოქმედ კანონმდებლობასთან. აქვე მოცემულია მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო პრინციპიც: „პროკურატურა არ ცვლის სახელმწიფო და სამეურნეო მართვისა და კონტროლის ორგანოებს და არ ერევა მათ სამეურნეო-ოპერატიულ საქმიანობაში“. ეს დებულება მნიშვნელოვანია იმით, რომ ერთი მხრივ, გვათავისუფლებს ზედმეტი „მეურვის“ მოვალეობისაგან, მეორე მხრივ, არ შეესაბამება დღევანდელ პირობებში სამეურნეო საქმიანობის თავისუფლების პრინციპს, ურომლისოდაც შესაძლოა შემმოწმებელი ინსტანციები „ფეხებში გაებლანდონ“ მეწარმეებს აქედან გამომდინარე მრავალმხრივი უარყოფითი შედეგებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ვინც კანონის ფარგლებს არ გადმოაბიჯებს, ჩვენგან თავისუფალი არიან — არც პროკურორებს გვაქვს მათს სამეურნეო „სამზარეულოში“ ჩახედვის უფლება. ამ მხრივ ნიშანდობლივია კანონში მოცემული მითითებაც, რომ შემოწმება ხდება პროკურორის დადგენილებით, კანონიერების დარღვევის შესახებ შეტყობინებათა საფუძველზე.

— და მაინც, დროებითი დებულებით ხომ არ შეიცვლება თქვენი ფუნქციების მოცულობა საკავშირო კანონმდებლობით აქამდე განსაზღვრულთან შედარებით?

— არის ცალკეული ცვლილებები. მაგალითად, აქამდე მოქმედი საკავშირო კანონით ჩვენ არ გვეკისრებოდა ზედამხედველობა **ხელისუფლების** ორგანოების მიერ კანონთა შესრულებაზე. პროკურატურას არ შეეძლო გაეპროტესტებინა სასოფლო (სადაბო), რაიონული (საქალაქო) და ზემდგომი რგოლების საბჭოს სესიის გადაწყვეტილებები (სხვა საქმეა, მისი ზემდგომი ორგანოს ინფორმირება მათ მიერ უკანონო გადაწყვეტილების მიღების თაობაზე). „დროებითი დებულება“ კი პირდაპირ გვავალებს ზედამხედველობას ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი (მხოლოდ ადგილობრივი — და არა ზემდგომი რგოლების ორგანოების, — მათ შორის წარმომადგენლობითს) საქმიანობაში კანონიერების დაცვაზე, მათ მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტების (დადგენილებები, გადაწყვეტილებები, ბრძანებები, განკარგულებები და მისთ.) კანონთან შესაბამისობაზე. აქედან გამომდინარე, ჩვენ საჭიროდ მივიჩნიეთ რაიონების (ქალაქების) პროკურორები (ან მისი დავალებით — სხვა მუშაკები) რეგულარულად დაესწრონ შესაბამისი რგოლის წარმომადგენლობით ორგანოთა ოფიციალურ სხდომებს, რაც მათ საშუალებას მისცემს ჯერ კიდევ აქტის პროექტის განხილვისას გააკეთოს სათანადო რეაგირება უკანონო სამართლებრივი აქტის მიღების თავიდან ასაცილებლად (პროკურორის უფლება — დაესწროს მისი წარდგინების ან პროტესტის განხილვას კოლეგიურ ორგანოში, პირდაპირ არის ჩაწერილი დებულებაში). ყოველ შემთხვევაში, პროკურორებმა ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით უნდა შეიმუშაონ ქმედითი სისტემა, რომ მათი თვალთახედვის მიღმა არ დარჩეს სამართლებრივი აქტები, მაქსიმალურად უზრუნველყონ ყველა უკანონო ნორმატიული აქტის დროულად გამოვლინება და გაპროტესტება მათი გაუქმების მიზნით. აქტების გაპროტესტების მოვალეობას და შესაბამის სტატუსს პროკურორს ანიჭებს დროებითი დებულების მე-15 მუხლი. **პროკურორი უფლებამოსილია პროტესტში მოითხოვოს კანონსაწინააღმდეგო აქტის გაუქმება ან მისი კანონთან შესატყვისება, აგრეთვე თანამდებობის პირის უკანონო მოქმედების შეწყვეტა, დარღვეული უფლებების აღდგენა და კანონის დარღვევის დასჯა.** ეს დებულება კანონის დამრღვევის დასჯის პროტესტითვე მოთხოვნის შესახებ ახალი კანონის მნიშვნელოვანი სიახლეა. აქვე უნდა დავუმატოთ ისიც, რომ პროტესტის შეტანა მის განხილვამდე **აჩერებს იმ სამართლებრივი აქტის აღსრულებას, რომელიც ითვალისწინებს ადმინისტრაციულ სახდელს.**

— თქვენ ბევრ ყურადღებას უთმობთ უკანონო სამართლებრივი აქტების საკითხს. შემთხვევითია ეს თუ...?

— არ არის შემთხვევითი. თავი რომ დავანებოთ წინა წლების მაგალითებს, უკანასკნელ ხანებში რესპუბლიკის პროკურატურის მიერ დედოფლისწყაროს, ყვარლის და მთელ რიგ სხვა რაიონებში მოწყობილმა შემოწმებებმა, ჩვენთან შემოსული საჩივრების შემოწმებამ (ახმეტის, თიანეთის, ბორჯომის და რიგი სხვა რაიონებიდან) გვიჩვენა, რომ გავრცელებულია არა მარტო „ტრადიციული“ დარღვევები მუშაკთა სამუშაოდან დათხოვნისას, არამედ ცხოვრებისა და სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა სფეროს რეგულირების თაობაზე მმართველობის ორგანოთა მიერ უკანონო გადაწყვეტილებათა და დადგენილებათა მიღებაც.

— რეაგირების სხვა რა ზომებს ითვალისწინებს დროებითი დებულება და რა სიახლეა ამ მხრივ ძველ კანონთან შედარებით?

— რეაგირების ფორმებს შორის, როგორც ყოველთვის, ყველაზე გავრცელებულია ტრადიციული და ქმედითი ფორმა — წარდგინება, რაც გათვალისწინებულია „დროებითი დებულების“ მე-16 მუხლით. **წარდგინება კანონის დარღვევის აღმოფხვრის შესახებ პროკურორს შეაქვს იმ ორგანოში ან თანამდებობის პირთან, რომელიც უფლებამოსილია აღკვეთოს კანონის დარღვევა.** ასეთი შეიძლება იყოს, როგორც, მაგალითად, იმ ქარხნის დირექტორი, რომელშიც გამოვლინდა დარღვევა, ისე მისი ზემდგომი ორგანო (ვთქვათ, სამინისტრო). კონკრეტულ შემთხვევაში ადრესატის შერჩევა დამოკიდებულია დარღვევის ხარისხსა და ხასიათზე, იმაზე, თუ საკითხის დაყენება რომელი ადრესატის წინაშე იქნება უფრო ეფექტიანი საბოლოო შედეგის — კანონის დარღვევის ფაქტობრივად აღმოფხვრის მისაღწევად.

გარდა წარდგინებისა, „დროებითი დებულების“ მე-17 მუხლი ითვალისწინებს პროკურორის მიერ **დადგენილებათა გამოტანას სისხლის სამართლის საქმის, ადმინისტრაციული ან დისციპლინური წარმოების** აღძვრის შესახებ — ეს დამოკიდებულია თანამდებობის პირის ან მოქალაქის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათსა და ხარისხზე. შემდეგ იგი გადაეცემა საგამოძიებო სამსახურს არსებული საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად წინასწარი გამოძიების ჩასატარებლად. რაც შეეხება დადგენილებებს ადმინისტრაციული ან დისციპლინური წარმოების აღძვრის შესახებ, მათ არა უგვიანეს 10 დღისა განიხილავს ადრესატი — ის ორგანო ან თანამდებობის პირი, ვისაც უფლება აქვს გამოიყენოს დამრღვევის მიმართ, შესაბამისად, ადმინისტრაციული ან დისციპლინური ზემოქმედების ზომები.

აქამდე მოქმედი საკავშირო კანონი ითვალისწინებდა აგრეთვე კანონის დარღვევაზე რეაგირების სხვა ფორმებსაც, კერძოდ, მიწერილობას (დარღვევის დაუყოვნებლივ აღმოფხვრის ან შეწყვეტის მოთხოვნით) და გაფრთხილებას კანონის დარღვევის დაუშვებლობის შესახებ. მათი „დროებით დებულებაში“ შეუტანლობა განაპირობა რეაგირების ამ ფორმების ნაკლებმა ეფექტიანობამ, ხშირად ფორმალურმა ხასიათმა.

— პროკურატურის საერთო ზედამხედველობა, თავისი შემოწმებებითა და რეაგირებებითურთ, კონკრეტულად რა სფეროებს შეეხება ჩვენს რეალურ ცხოვრებაში და როგორია მათი ეფექტიანობა?

— ჩვენი საქმიანობა მოიცავს დაახლოებით 30 დამოუკიდებელ სამართლებრივ სფეროს, რომლებიც ცალკე კანონმდებლობით რეგულირდება. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, ამიტომ დაგისახელებთ მხოლოდ ყველაზე აქტუალურ საკითხთა ერთ ნაწილს. ეს არის კანონმდებლობები სახელმწიფო საკუთრების, არასახელმწიფოებრივი საკუთრების ეკონომიკური სტრუქტურების (კოოპერატივები, მცირე და შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოები, ფირმები, კონცერნები, ასოციაციები და მისთ.), პოლიტიკური და საზოგადოებრივი გაერთიანებების, ადგილობრივი თვითმმართველობის, მიწის, იჯარის, პრივატიზაციის, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის (ერთობლივი საწარმოები და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის სხვა მონაწილენი), სახელმწიფო დისციპლინის, ბუნების დაცვის, შრომის, ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებებთან (ნარკომანია და მისთ.) ბრძოლის, საბინაო, საპენსიო საკითხების შესახებ.

რაც შეეხება ჩვენი საქმიანობის ეფექტიანობას, მოვიყვან მხოლოდ გამოვლინებისა და რეაგირების რამდენიმე მაჩვენებელს. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოების მიერ მოწყობილი შემოწმებებით გამოვლინდა 1508 სფეროს მიკუთვნებული კანონმდებლობის დარღვევა (მათ შორის 320 უკანონო სამართლებრივი აქტი), რომელთა აღმოფხვრისა და მომავალში თავიდან აცილების მიზნით შეტანილი იქნა 280 პროტესტი და 935 წარდგინება. პროკურატურის წინადადებით დისციპლინური სასჯელი დაედო 748 კანონის დამრღვევ პირს, ადმინისტრაციული — 139 კაცს, მატერიალური — 292-ს. სულ 356.003 მან. თანხით (არასრული მონაცემებით). საერთო ზედამხედველობის წესით მოწყობილი შემოწმებების მასალებზე აღიძრა 63 სისხლის სამართლის საქმე. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ რესპუბლიკაში შექმნილი ვითარების გამო პროკურორები სანახევროდაც კი ვერ ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობებს საერთო ზედამხედველობითი საქმიანობის სფეროში, იმედი გვაქვს, რომ წლის მეორე ნახევარში, თანდათანობითი სტაბილიზაციის კვალად, ეს საქმიანობა მნიშვნელოვნად გააქტიურდება.

ვინ ჭაყო საქართველო და აფხაზეთი!

სამშობლოს ერთიანობისთვის!

ეს აზრი ბატონობდა 19 აგვისტოს გურჯაანში გამართულ მიტინგზე, რომელსაც კახეთის ყველა რაიონის წარმომადგენლები დაესწრნენ. როგორც თავის შესავალ სიტყვაში ბრძანა გურჯაანის რაიონის საკრებულოს გამგეობის თავმჯდომარემ ზაურ მანიაშვილმა, უპირველეს ყოვლისა სამშობლოს მთლიანობისათვის იღვაწოს. აფხაზეთის ამბები მოწმობს, რომ ამ თვალსაზრისით კვლავაც დიდი საქმეები გველის. და მათ დასაძლევად საჭიროა ერთიანობა და თანადგომა.

გურჯაანის რაიონის მშრომელებმა აფხაზეთში მყოფ გვარდიელებს გაუგზავნეს ხორცი, საზამთრო, პური, ღვინო. მალე კახეთის სხვა რაიონებიც მიაწვდიან სურსათს.

მიტინგზე გამოსულებმა აღნიშნეს, რომ გარდა მატერიალური დახმარებისა, მოსახლეობა მზად არის პირადად მიიღოს მონაწილეობა აფხაზეთის შემომტკიცების საქმეში. ეს ლიტონი სიტყვები არ არის — ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს უამრავი ხალხი აკითხავს ამგვარი განცხადებით. ამავე დროს გამოითქვა იმედი, რომ მოლაპარაკების გზით აღდგება აფხაზთა და ქართველთა ძმობის ძირძველი ტრადიციები. მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს იმგვარი დათმობის ფასად, რომელიც მომავალში კვლავ საფრთხეს გაუხდის საქართველოსა და აფხაზეთის ერთიანობას, ამ და სხვა მტკივნეულ საკითხებზე ილაპარაკეს საქართველოს სახელმწიფო საბჭოს წევრებმა ირაკლი ქადაგიშვილმა, ლუიზა შაკიაშვილმა, გიორგი შენგელაიამ, საქართველოს მინისტრთა კაბინეტის პასუხისმგებელმა მუშაკმა ავთანდილ გოგიაშვილმა, თელავის პედინსტიტუტის რექტორმა დოცენტმა როინ ჭიკაძემ, ომისა და შრომის ვეტერანებმა არჩილ ჯორჯაძემ და ვანო ტოპეშაშვილმა, კახეთში მცხოვრები ძმური ერების წარმომადგენლებმა — ქისტმა ლამარა მარგიშვილმა, აზერბაიჯანელმა ვალი ბაირამოვმა, ლეკმა ზელიმხან იბრაგიმოვმა და სხვებმა.

დასასრულ საქართველოს სახელმწიფო საბჭოს რწმუნებულმა კახეთში გელა გოდერძიშვილმა რწმენა გამოთქვა, რომ კახეთის მოსახლეობა თავის შრომით განამტკიცებს ქვეყნის ძლიერებას.

ამავე დროს, ითვალისწინებს რა ხალხის მოთხოვნას, ადგილობრივი მმართველობის ორგანოები საჭირო მუშაობას გასწევენ სახალხო ლაშქრის შესაქმნელად, რომელსაც ერეკლე მეფის — პატარა კახის სახელი ეწოდება.

მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა ქართველი ერისადმი და რეზოლუცია, რომელშიც გამოთქმულია მხარდაჭერა საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკისადმი. ამავე დროს მათ მოითხოვეს მეტი პრინციპულობა და თანმიმდევრობა აღებული კურსის განხორციელებაში, რათა არ დაიკარგოს არც ერთი გოჯი ქართული მიწა.

ზურაბ არსენიშვილი.

• • •

სურათზე: სიტყვას ამბობს საქართველოს სახელმწიფო საბჭოს რწმუნებული კახეთის რეგიონში გელა გოდერძიშვილი.

იოსებ დავითაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სხვა გზა აღარ იყო

სრულიად საქართველოს სელიმ ხიმშიაშვილის საზოგადოების განცხადება

ჩვენო თანამემამულენო! კვლავ მძიმე დღეები დაუდგა სრულიად საქართველოს, ჭირს ჭირი დაემატა, მსხვერპლს მსხვერპლი მოჰყვა, სისხლმა სისხლი მოითხოვა.

საქართველომ იცის ამგვარი ღალატის სუნი. ზუსტად ამისათვის გაუძლო ამ ქვეყანამ ათას ჭირ-ვარამს, ამისათვის იხილა „ძლევაი საკვირველი“, რომ ვიღაც-ვიღაცეებმა XX საუკუნის დასასრულს უმუხთლონ, ცივილიზებული მსოფლიოს თვალში დააკნინონ საქართველოს საყოველთაო აღიარება.

„აფხაზეთის პრობლემა“ ახალი არ არის, წლების მანძილზე იქმნებოდა ხშირად ჩვენივე გულგრილობითა და წაყრუებით. ეს იყო, ალბათ, მიზეზი იმისა, რომ დროთა განმავლობაში აფხაზეთში თუ, გააფხაზებულ ქართველებში თავი იჩინა სეპარატიზმმა, საქართველოს ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობამ, აფხაზეთი ექსტრემისტების მომხრეების, მკვლელების, მძარცველებისა და ტერორისტების თავშესაფრად იქცა. არძინბასა და გამსახურდიას პოლიტიკურ ამბიციებს უკვე შეეწირა ერთ მიწა-წყალზე საუკუნების მანძილზე მცხოვრები ორი ძმური ხალხის მრავალი შვილის სიცოცხლე.

ცხადია, ჩვენ ყოველგვარი სისხლისღვრის წინააღმდეგი ვართ. მაგრამ საქართველოს ერთიანობა, მისი მომავალი ჩვენზეც მაღლა დგას, და თქვენზეც, ოსო, აფხაზო და საკუთარი მშობლის მოძულე ქართველებო! ვიცით, არ იყო ადვილი სახელმწიფო საბჭოსთვის, პირადად ბატონ ედუარდ შევარდნაძისთვის ამისთანა გადაწყვეტილების მიღება. მან ხომ ამით თავისი უზარმაზარი ავტორიტეტი და ჰუმანური, დემოკრატი კაცის სახელი შეაგდო სასწორზე, მაგრამ ღმერთმაც იცის და ერმაც, რომ სხვა გზა აღარ იყო. რომელი სახელმწიფო მოითმენს თავის მიწაზე ტერორისტების თარეშს, თავხედურ დაუმორჩილებლობას, ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას: ალბათ, არც ერთი! ამ აქციის მიზანი ქართველი და აფხაზი ხალხების მომავლის გადარჩენაც არის. დაე, შთამომავლობამ განგვსაჯოს.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი.

გამოვიგონოთ ისეთი მოდელი...

უჭირს დღეს საქართველოს. აფხაზეთში მძიმე მდგომარეობაა, ამიტომ, მოვმართავთ თქვენ და აფხაზეთში მცხოვრებ ყველა გამომგონებელს, რაციონალიზატორს და წარმოების ნოვატორს, კისრად იდეთ ინიციატივა შერიგებისა და კონსოლიდაციისა აფხაზეთში მცხოვრებ ყველა ადამიანს შორის, განურჩევლად მათი ეროვნების, სარწმუნოების, პოლიტიკური მრწამსის და საქმიანობისა.

სრულიად საქართველოს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების, თბილისისა და საქართველოს სხვა რეგიონების წარმომადგენლები, მზად ვართ, ჩამოვიდეთ უმოკლეს ვადაში თქვენთან, ქ. სოხუმში, და ერთობლივი ღონისძიებები მივუძღვნათ მთელი საქართველოს მშვიდობას.

გამომგონებლები დღეს ვალდებული ვართ, გამოვიგონოთ ისეთი მოდელი საქართველოში სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა მშვიდობიანი თანაცხოვრებისა, რომელსაც ვერ შეარყევს ვერც ერთი გარეშე და შინაური მტრული ძალა.

სრულიად საქართველოს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების აფხაზეთის საოლქო საბჭო.

ვეტერანები მოითხოვენ

ბოლო მოეღოს განუკითხაობას!

14 აგვისტოს გაიმართა ომის, შრომის და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა აქტივის კრება. კრება შესავალი სიტყვით გახსნა ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა ალექსანდრე ბერიძემ.

სიტყვით გამოსულებმა — საბჭოთა კავშირის გმირებმა, ომის და შრომის ვეტერანებმა კირილე უკლებამ და შოთა მურღვაიძემ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, ომის და შრომის ვეტერანმა, ვაკის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარემ ბორის ყურაშვილმა, მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდის გამგეობის პრეზიდენტმა თეიმურაზ თოფურიამ, ომის ვეტერანთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, ომისა და შრომის ვეტერანმა კარლო გარდაფხაძემ, ომის და შრომის ვეტერანებმა ალექსანდრე მოწონელიძემ, ლევან პეტროსიანმა, იაკობ კუზერაშვილმა, ჩუღურეთის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარემ, ომის და შრომის ვეტერანმა რეზო ასათიანმა, შრომის ვეტერანმა აკაკი გუმბერიძემ ღრმა აღშფოთება გამოთქვეს დესტრუქციული ძალების ბოლოდროინდელი აღვირახსნილობის, გაუგონარი თავხედობის გამო და დიდი გულისწყრომით აღნიშნეს, რომ შეიარაღებული ბანდიტების თარეშს არა აქვს ზღვარი — გაუთავებელი დივერსიული და ტერორისტული აქტები, ადამიანთა მკვლელობა, ძარცვა, რესპუბლიკისათვის მიყენებული ათ მილიარდ მანეთზე მეტი ზარალი, და, ბოლოს, ჯერ საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოადგილის სანდრო კავსაძის, მერე რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის რომან გვენცაძის, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის თანაშემწის დავით სალარიძის და ხელისუფალთა სხვა წარმომადგენლების მუხანათურად მძევლად აყვანა, და, ყველაფერი ეს ხდება ახლა, როცა ქართველმა ხალხმა იზეიმა საქართველოს რესპუბლიკის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სრულუფლებიან წევრად მიღება, როდესაც დამოუკიდებელი საქართველოს წინაშე გახსნილია სასიკეთო პერსპექტივები და, რაც მთავარია, როცა რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ ბატონ ედუარდ შევარდნაძის ინიციატივით სამოქალაქო მშვიდობისა და ეროვნული თანხმობის დამკვიდრების მიზნით კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა — მიიღო შერიგების, მიმტევებლობის მანიფესტი, რამაც საერთაშორისო აღიარება ჰპოვა.

ხალხი დაიღალა, დროა ამოქმედდეს კანონი და ბოლო მოეღოს ასეთ განუკითხაობას. ჩვენ ჯერ კიდევ შეგვწევს უნარი და მზად ვართ მივიღოთ მონაწილეობა ბანდიტების ალაგმვაში, აღნიშნეს გამომსვლელებმა.

კრების მონაწილეებმა ერთხმად მოიწონეს საქართველოს სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებები.

მიმართვის ტექსტი წაიკითხა თბილისის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლევან მშვენიერაძემ.

ცხოვრებით ნაკარნახევი სიახლე

გლეხური (ფერმერული) და მეურნეობრიობის სხვა ფორმების განვითარების რესპუბლიკური ფონდის დაფუძნების შესახებ

რესპუბლიკის აგრარულ სექტორში მიმდინარე ძირეული რეფორმების რეალიზაციისა და გლეხური (ფერმერული) თუ მეურნეობრიობის სხვა ფორმების განვითარების მიზნით, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის სამინისტრომ და მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტმა დააფუძნა გლეხური (ფერმერული) და მეურნეობრიობის სხვა ფორმების განვითარების რესპუბლიკური ფონდი.

ფონდი, მისი წესდების შესაბამისად, დანერგავს მეურნეობრიობის ახალი ფორმების პრაქტიკულ საქმიანობას, რომელსაც მოიცავს მათი დაარსების, სამეურნეო საქმიანობის, შეღავათიანი დაკრედიტების, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების, დარგობრივი და ტერიტორიული კავშირებისა და მომსახურების სფეროს განვითარების სამართლებრივ-ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტას.

ფონდის საბჭოს შემადგენლობაში არიან დამფუძნებელი უწყებებისა და დარგობრივ რესპუბლიკურ გაერთიანებათა წარმომადგენლები.

ფონდის საბჭოსა და გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია გარდაბნის რაიონის სამგორის სახელმწიფო მეურნეობის დირექტორი გრიგოლ ონიანი.

ჯემალ ქურხული.

დანიშვნები

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ დანიშნა:

გივი ბაგრატის ძე გადელია — საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის მინისტრის მოადგილედ;

თამაზ იასონის ძე მენაბდე — საქართველოს რესპუბლიკის კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის მინისტრის მოადგილედ;

ომარ ვლადიმერის ძე კიკნაძე — საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა მინისტრის მოადგილედ;

გაიოზ სიმონის ძე გალდავაძე — საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილედ.

ფოტორეპორტაჟი

ბირჟის ერთი საქმიანი დღე

CAUCASUS EXCHANGE

ერისა და სახელმწიფოს ეკონომიკური ხსნის ქვაკუთხედად საბაზრო ეკონომიკაა აღიარებული. მისი წარმატების გზა ბიზნესსა და კომერციაზე გადის. ამ დიდი საქმის პიონერად რესპუბლიკაში კავკასიის ბირჟა მოგვევლინა.

ბირჟა სულ წლინახევრისა თუ იქნება და ერთი თვის წინათ მოღვაწეობის საიუბილეო ეტაპი — მეასე საჯარო ვაჭრობა აღნიშნა.

კომპეტენტური შეფასებით, დროის ამ მცირე მონაკვეთშიც ბირჟა უკვე დასრულებულ მძლავრ კომერციულ ორგანიზმად იქცა. იგი ჩამოყალიბდა როგორც განშტოებული კომერციული სტრუქტურა, ფართო პროფილის ბითუმად მოვაჭრე საშუამავლო ორგანიზაცია, რომელსაც უკანასკნელ ხანს კიდევ ერთი ახალი ფორმა — საქმიანი ქაღალდების ვაჭრობა მიემატა.

კავკასიის ბირჟაში 4.000-მდე აქციონერია.

მის საქმიანობაში თვალსაჩინო როლს ასრულებენ ბროკერები. გახსნილია და წარმატებით ფუნქციონირებენ საბირჟო სკოლა მომუშავე ბროკერებისთვის, აგრეთვე კოლეჯი ბროკერების, დილერებისა და საბირჟო საქმის სხვა სპეციალისტების მოსამზადებლად. გაიზარდა საბროკერო ფირმების რიცხვი — ამჟამად 450-მდე აღწევს. მყიდველ-გამყიდველი ფირმებია.

სისხლსავსე კომერციით ცხოვრობს კავკასიის ბირჟა. იგი აქტიურად არის ჩაბმული ერის ეკონომიკური აღორძინების სამსახურში.

სერგო ხარაზიშვილი.

სურათზე: კავკასიის ბირჟის ერთი საქმიანი დღე.

სიმონ კილაძის ფოტო. (ფოტოსააგენტო „დრო“).

ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს

ოთარ კაკაურიძე,
საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრის მოადგილე.

პოლემიკა

გაზეთ „საქართველოს“ 1992 წლის 24-ე ნომერში გამოქვეყნებულ ომარ ჯანელიძის ვრცელ ინტერვიუში, რომელსაც პოპულიზმის დაღი აზის, საეჭვო წყაროებზე და ყურმოკრულ მონაცემებზე დაყრდნობით, გაკეთებულია მცდარი განზოგადებები და დასკვნები ეროვნული მეურნეობის განვითარების მიკროეკონომიკურ, დარგობრივ და ტერიტორიულ ასპექტებზე.

ეკონომიკის სამინისტრო, რომლის ინტერესებშიც შედის აღნიშნული საკითხები, თავს ვალდებულად თვლის, გამოთქვას თავისი მოსაზრებანი.

ინტერვიუს დიდი ნაწილი ეთმობა რესპუბლიკაში თევზის მეურნეობის განვითარების სპეციფიკურ პრობლემებს, ამასთან დაკავშირებით განხილულია ინტერვიუერის ხელში გაუგებარი გზებით ჩავარდნილი ერთ-ერთი შუალედური დოკუმენტი, რომელიც ამ დარგის მართვის სრულყოფის საკითხებს ეხება და რომელზეც ჯერჯერობით მუშაობა დამთავრებული არ არის.

ამ დოკუმენტის ცალმხრივი ინტერპრეტაციის საფუძველზე ო. ჯანელიძე საოცრად არაკორექტულ დამოკიდებულებას იჩენს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროსადმი, სწამებს რა მას არაკომპეტენტურობას, კონსერვატიზმს (მთავრობასთან ერთად) და, ბოლოს, თანამდებობის მაძიებელთა საინიციატივო ჯგუფებთან საეჭვო კავშირურთიერთობასაც კი.

იმის გამო, რომ აღნიშნულ დოკუმენტში რესპუბლიკის თევზის მეურნეობის მართვის სრულყოფის ერთ-ერთ ფორმად შემოთავაზებულია მაკოორდინირებელი ორგანოს შექმნის მიზანშეწონილება, ინტერვიუში ეკონომიკის სამინისტრო დემონოპოლიზაციის, პრივატიზების და საერთოდ საბაზრო ურთიერთობათა დანერგვის პროცესის ხელშემშლელ მონსტრად არის წარმოდგენილი (ალბათ, ისიც არ იციან, რომ მთავრობის გადაწყვეტილებით, სწორედ ეკონომიკის სამინისტრო წარმართავს რესპუბლიკაში ამ პროცესებს). ამავე დროს, საზოგადოებას არ ემცნო განმქიქებელ დოკუმენტში მოტანილი ეკონომიკური ანალიზი და დასაბუთებები საქართველოს თევზის მეურნეობის სავალალო მდგომარეობის და მისი გადარჩენის გზების ძიების შესახებ. ერთი სიტყვაც არაა ნათქვამი იმ საგანგაშო მდგომარეობაზე, რაც რესპუბლიკის თევზის მეურნეობაში ამჟამად სუფევს, რომ ეს დარგი ფაქტობრივად არ ფუნქციონირებს, არ იქმნება პროდუქცია და ყველა სხვა გაჭირვებასთან ერთად, ჩვენი მოსახლეობა ისედაც შეზღუდულ ულუფას აკლდება ცხოველური ცილების შემავსებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო — თევზის პროდუქტები.

მივმართოთ ფაქტებს. თუ საქართველოში 1985 წელს წარმოებული იყო 90 ათასი ტონა თევზის პროდუქცია, 1991 წელს, წარმოების დონე 38 ათას ტონამდე შემცირდა. საერთოდ, შეწყვეტილია ოკეანეში თევზის რეწვა, რომელიც თევზის რესურსებთან ერთად, საკმაო სავალუტო შემოსავლებს იძლეოდა. ამჟამად, მეთევზეობის, თევზჭერის და გადამმუშავებელი საწარმოების დავალიანება 11 მილიონ მანეთს აჭარბებს, ხოლო „საქთევზმრეწვის“ კრედიტული დავალიანება 1991 წელს 25 მილიონ მანეთს აღწევდა. ამას ემატება ისიც, რომ აღნიშნული გაერთიანების მთელი საოკეანო ფლოტი (8 გემი) უმოქმედოდ დგას ფოთის ნავსადგურში, იძარცვება და ნიავდება მათი სასაწყობო მეურნეობები და სხვა ქონება. სპეციალისტების აზრით, თუ ეს პროცესი არ შეჩერდა, ფოთის ნავსადგურში მდგომი გემები, რომელთა ღირებულება რამდენიმე ასეულ მილიონ მანეთს შეადგენს, შეიძლება მხოლოდ ჯართად გამოდგეს. განადგურების პირამდე მისული ერთ დროს აღმავლობის გზაზე მყოფი ბუნებრივი და ხელოვნური წყლების მეთევზეობის მეურნეობები. იმასაც ამბობენ, ზოგიერთი ხელოვნური შიდაწყალსაცავის მეურნეობა მოუვლელობის გამო, ანტისანიტარიის ბუდედაა გადაქცეული. აი, რაზე უნდა გაემახვილებინა ყურადღება ბატონ ო. ჯანელიძეს, ეს ხომ უპირველესი საზრუნავია ბუნების დაცვის ერთი თავკაცისა, როგორიც ის ბრძანდება.

რესპუბლიკის თევზის მეურნეობაში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ამ დარგის მრავალ ორგანიზაციად დაქსაქსვაშიც უნდა ვეძიოთ. ამჟამად თევზის მეურნეობაში არსებული რამდენიმე გაერთიანება თუ კავშირი თავისთავად მინიფეოდალურ სტრუქტურებს უფრო მოგვაგონებენ, ვიდრე დღევანდელს. ისინი არავითარ საბაზრო ეკონომიკის ურთიერთობებს არ ემყარებიან და ცალკეულ პრივილეგირებულ პირთა ან ჯგუფთა სუბიექტურ, უტილიტარულ ინტერესებს უფრო ემსახურებიან, ვიდრე მოსახლეობის თევზის პროდუქტებით უზრუნველყოფის საქმეს. ყველაფერი, რომ იტყვიან, თვითდინებაზეა მიშვებული. რესპუბლიკაში ამჟამად არ არსებობს ისეთი კომპეტენტური ორგანო, რომელსაც ხელეწიფება თევზის მეურნეობის ყოფილი საკავშირო ქონების რესპუბლიკის საკუთრებაში გადმოსვლის პროცესის მოგვარება, საერთაშორისო დონეზე თევზჭერის კონვენციების და ლიცენზიების საკითხების განხილვაში მონაწილეობა და ამ საქმეში რესპუბლიკის ინტერესების დაცვა, დარგის განვითარებაში ერთიანი ტექნიკურ-ტექნოლოგიური პოლიტიკის გატარება და სხვა.

აი, ასეთ რთულ პირობებში, რესპუბლიკის მთავრობის დავალებით დაინტერესებული სამინისტროების, უწყებების და თევზის მეურნეობის ორგანიზაციათა და სპეციალისტთა ფართო კონსულტაციებზე დაყრდნობით, უმრავლესობის აზრის გათვალისწინებით, მომზადდა წინადადებების ერთ-ერთი ვარიანტი რესპუბლიკაში თევზის მეურნეობის მაკოორდინირებელი რგოლის (არა აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა, რა ერქმევა მას — დეპარტამენტი, საბჭო, საზოგადოება და ა. შ.), შექმნის აუცილებლობის შესახებ, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს თევზის მეურნეობაში არსებული მრავალი ურთიერთდაკავშირებული, დარგთაშორისი სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხის გადაწყვეტას.

ამასთან იგულისხმებოდა, რომ ახლადშექმნილი რგოლი არავითარ შემთხვევაში არ ჩაერეოდა საწარმოთა სამეურნეო საქმიანობაში. ეს უკანასკნელნი კი, ამჟამად არსებული შუალედური რგოლების — გაერთიანების გაუქმების შემდეგ, რაც პროექტითაა გათვალისწინებული, მიიღებდნენ სრულ სამეურნეო დამოუკიდებლობას, მიეცემოდათ საბაზრო ურთიერთობებით მინიჭებული ყველა, მათ შორის, ქონების პრივატიზების უფლებაც, რასაც ამ დარგში მოქმედი გაერთიანებები ამჟამად, პირიქით, ხელს უშლიან. პროექტის ეს ვარიანტი ამავე დროს, ითვალისწინებს შუალედური რგოლების ლიკვიდაციის კვალობაზე დაახლოებით 350 კაცის გამოთავისუფლებას მმართველობის აპარატიდან, მაშინ, როცა ახლად შესაქმნელ მაკოორდინირებელ ორგანოში მომუშავეთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 30-32 კაცს, რომელთა შესანახი ხარჯები შეიძლება გამოინახოს, როგორც ბიუჯეტის, ისე დარგის სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ხარჯზე.

არაპროფესიონალიზმი გამოსჭვივის ეროვნული განვითარების კონცეპტუალური მოდელის შემუშავების შემოთავაზებულ ტექნოლოგიაში, რომელიც საღი აზრის საწინააღმდეგოდ ჯერ „ურთიერთდამოუკიდებლად“ სამასამდე „მიზნობრივი პროგრამის“ (რაც, რატომღაც ინფორმაციული ბანკის შექმნასთანაა გაიგივებული) შედგენას, ხოლო შემდეგ მათ სინთეზს უნდა დაემყაროს, ნაცვლად იმისა, რომ მიზნობრივი პროგრამებისათვის ამოსავალი, პირიქით, ეკონომიკური განვითარების საერთო რესპუბლიკური კონცეფცია უნდა იყოს. ეს იმდენად ელემენტარულია, რომ შემდეგ თვითონვე აკრიტიკებს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის რეკონსტრუქციის საკითხების არააკომპლექსურ გადაწყვეტას, თუმცა, აქაც ფაქტობრივ შეცდომებს უშვებს. კერძოდ, ტელევიზიით ყურმოკრული ამბის საფუძველზე აწვდის საზოგადოებას დეზინფორმაციას, თითქოს ამ საწარმოს რეკონსტრუქციისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიმდინარე წელს 200 მილიონი მანეთი იყოს გამოყოფილი. და ეს მაშინ, როცა სინამდვილეში ერთი კაპიკიც არ გამოყოფილა. იგი დიდი ენერგოტევადობის გამო ეკონომიკურად გაუმართლებლად თვლის ფოლადის წარმოების მოძველებული მარტენული წესის შეცვლას ახალი პროგრესული ელექტროლიზური მეთოდით, რასაც აკეთებენ მსოფლიოს ყველა მოწინავე ქვეყანაში, ბატონ ო. ჯანელიძეს რომ მოეცალა და ცალი თვალით მაინც ჩაეხედა ქარხნის რეკონსტრუქციის პროექტში, დაინახავდა, რომ რეკონსტრუქციის შემდეგ საწარმოს კრებსითი ენერგოტევადობა გაცილებით ნაკლებია არსებულთან შედარებით, ამასთან, პროექტი ახალი ტექნოლოგიების დანერგვის კვალობაზე ითვალისწინებს რიგი შრომატევადი და ენერგოტევადი საამქროების ლიკვიდაციას (კოქსქიმიური, ბრძმედის, მარტენის, სააგლომერაციო), რაც თავისთავად ფოლადის ხარისხის მკვეთრად ამაღლებასთან ერთად მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მომუშავეთა შრომის პირობებს და ეკოლოგიურ მდგომარეობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმა ერის გასაგონად

რაც სიტყვას მოჰყვა

საუბარი მწერალ ოტია იოსელიანთან

...**ერთხანს** უხმოდ ვართ. ვდუმვართ. მერე მორიდებით შევეკითხე:

— **რა ვქნათ, ბატონო ოტია, არაფერი ვთქვათ?**

— რა ვიცი... ვთქვათ? არ ვთქვათ?

— **ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების?**

— დიახ. ყოველთვის სიბრძნე სჭირდება ამის ცოდნას, როდის ჯობდა თქმა და როდის უთქმელობა. ახლა, ალბათ, რომ გვქონდეს, სიბრძნეც აღარ გვიშველის.

— **მაგრამ, ყოველთვის არც დუმილია ოქრო.**

— კი, მაგრამ კარგიც რომ თქვა, კარგი გამგონი გინდა.

— **ვითომ, მთლად უამისობაა?**

— ღმერთმა ნუ ჰქნას. კარგის თქმა თქვი შენ, თვარა... მაგრამ, მოდი, წინდაწინ ნურაფერს დავგეგმავთ. მადლობა ღმერთს, მგონი ენას აღარავინ გვგლეჯს და სათქმელს ლარსა და ხაზს ნუ დავადებთ.

დავსხდეთ აგერ, ამ აივანზე, რაკი შენ თვითონ მომიწვარი (მართლა დაბარებულივით). სამარგელი კარგა ხანია, მოროდი ახლა, ა, შენ თვალწინ დავამთავრე. ჩვენში იტყოდნენ: „დავამთავრე სამარგელი, აწი რა მაქვს სადარდელი“-ო. ან, „დავამთავრე მოროდიო, რა გინდოდა რო მოდიო“. დარდს რა გამოგვილევს, მაგრამ გაუკეთებელი საქმე ყველაზე დიდი დარდია.

ჰო, დავსხდეთ და, რაც სიტყვამ მოიტანოს... არაფერი ჯობია მართალ, თავისთავად, გულწრფელ, გულღია მუსაიფს.

— **კი ბატონო, მე მგონია, მკითხველსაც ეს ურჩევნია.**

— ყველას. მოგვკლა ამ დადგენილებამ და „დაპლანულმა“ ქვეყანამ და თუ თავისუფლებაა, თავისუფლება იყოს.

— **მართლაც, ამ მთლად მთავარიდან რომ დავიწყოთ?**

— რა აღარაა დღეს მთავარი.

— **ჰო, მაგრამ თავისუფლებით...**

— ადამიანი მონობისთვისაა გაჩენილი. იგი რომ გაანთავისუფლო, საკუთარი სინდის-ნამუსის, ზნეობის მონა უნდა იყოს.

— **ამიტომ გვიჭირს?**

— უღმერთოდ, ურწმუნოდ, უსიყვარულოდ, უსაქმური რომ თავისუფლების გზას დაადგე, სატანასთან მიგიყვანს.

ეკლესია აღვადგინეთ ჩვენ, აქ, წყალტუბოში და გავხსენით. რად გინდა, კაცი არ იხედება შიგ.

უღმერთო მშიერ-მწყურვალი ურწმუნო მშიერ-მწყურვალის სიყვარულს ვერ შეძლებს, ერთმანეთი შემოეჭმებათ.

საშველი არ ყოფილა!

— უხატოს, უზნეოს, მცონარასა და ავაზაკს საშველი არასოდეს ყოფილა.

შავი, ლაგაზი ტალახი უნდა ზილო, რომ თავისუფლების ვარდისფერ გზაზე გახვიდე. ჩვენ დაკოჟრილი, დაშაშრული, დააბედებული ხელები თუ მიგვიყვანს ნაღდ, ჭეშმარიტ თავისუფლებასთან.

ჩვენში ყველას შეუძლია ჭამოს ისე, არ იკითხოს — ვის ნაჭირნახულევს ჭამს, რაც უძლურსა და ხეიბარს თუ ეპატიება.

ჩვენ ყველასაგან მოვითხოვთ, გარდა საკუთარი თავისა. სინამდვილეში კი, ყველას უნდა აპატიო საკუთარი თავის გარდა.

— **კი, საკუთარ თავთან ვტყუვართ.**

— ამ დროს კი თავისუფლებისათვის ვიბრძვით, როცა სიცრუეს, უმაქნისობას, უცოდინარობას, ფლიდობასა და გაუტანლობას ვყავართ დამონებული.

ვინც ნათელს ზურგს შეაქცევს და ისე ივლის, იგი მზესთან ვერ მივა.

— ისტორია იმპერიებს იმახსოვრებს და არა დამონებულ ხალხთა სახელებს...

მე შორეულ ქვეყნებში დიდი, თავგადაკლული მოგზაური არა ვარ. არასოდეს მყოფნიდა ამისთვის დრო (მარტო საბუთების შეგროვებას ვერ ავუდიოდით). ორ-სამ ქვეყანაში მაინც ვყოფილვარ. სულ ბოლოს, ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ, საბერძნეთში გახლდით. იმ იმედით, რომ იქ მაინც ეცოდინებოდათ საქართველო და ჩემი ცხვირ-პირის პატრონს რუსად არავინ მიმიჩნევდა, როცა მაიმახ ბერძენს უფრო ვგავარ, ვინემ ცხვირგალუჯებულ რუსს. არაფერი გეტკანა (თითო-ოროლა სპეციალისტი არა ჰყავს მხედველობაში.), ვერც ერთ ბერძენს ვერ გავაგებინე, სად იყო საქართველო. იბერიას რომ თავი დავანებოთ, — კოლხეთი... თუ კოლხეთი ბერძენმა არ იცოდა, დავიჯერებდი?! — „იაზონი, იაზონი! — ჩავყვიროდი ყურში (შენი ენა რომ ადამიანს არ ესმის, რატომღაც, ხმამაღლა ელაპარაკები, თითქოს ყრუ იყოს.), — მედეა, მედეა!.. არგო, არგო! არ შეგერგო, ჩვენგან რომ ოქრო წამოიღე, არ გაგიგონია?“ — „კი, რავა არაო“. — „მერე, მაგი კოლხეთში არ იყო? კოლხეთი, კოლხეთი!..“ — „კი, მაგრამ ლეგენდააო.“ — „რაა ლეგენდა, მე ლეგენდა ვარ? კოლხი ვარ, რომ მიყურებ.“ — „მერე, თუ კოლხი ხარ და კოლხეთი არსებობს, სადაა?“ — „სადაა და, სადაც იყო.“ — ორივე ხელი გამოვიშვირე საქართველოსაკენ. — „პონტო, პონტო... პონტოს იქით.“ — „იქ რუსეთია, თქვენ სადა ხართ?“ — „ჯანდაბაში შენცა და ჩემი თავიც!...“ — ხელები ჩამოცვივდა.

რავა, რუკასთან მიიყვან, გეოგრაფიული ფერი გაქვს და ცხვირს მიარტყმევინებ თუ? თბილისი იცის, როგორც ქალაქი.

ჩვენთან ერთად, მაშინ, „საბჭოთა კავშირის ნაკრები“ ფეხბურთელები მოდიოდნენ, ერთად ჩავფრინდით. — „ყიფიანი ხომ იცი-მეთქი?“ — „მე, რავა არა, გადასარევი რუსი ფეხბურთელიაო!“ — „ისემც შენ რა გითხარი, იგი რუსი არ იყოს-მეთქი!“ — და წამოვედი ატირებული. არსად მერე ფეხი არ გამიდგამს. ჩემი გაჭირვება არ მეყოფა, მთელ მსოფლიოს კიდევ რუსი არ ეძახა?! არადა, ყიფიანს არ ინდობდნენ, მე ვინ დამზოგავდა. არც ლია სტურუას დაუჯერეს, თვალები რომ ცრემლებით ჰქონდა სავსე — ქართველი ქალი ვარო! არც ელგუჯა ამაშუკელს — „ვახტანგ გორგასალისა“ და „ქართლის დედის“ პატრონს, არც თემო ჭყონიას — „სამასი არაგველის“ მემორიალის ავტორს და თეუმეტეს, თემო ნაცვლიშვილსა და სხვა ჩვენი ფუნჯ-საჭრეთელ-კალმის, ოსტატს და ქართველურ გვარ-ტომს.

რა კაცია ის კაცი, იყოს, არსებობდეს, თუნდაც ღარღილობდეს და სხვისი სახელი ერქვას.

და, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო ამისთვის რად ღირს თავისუფლება!

— **იცოცხლე, ღირდეს!**

— იმდენად ძვირი და იმდენად ყოვლისმომცველია, უკანაც რომ არ დარჩე, მაინც ღირს, რაკი უმისოდ მაინც არა ხარ, არ არსებობ. ღმერთმა დაგვიფაროს და, თავისუფლებისათვის ბრძოლას რომ შევეწიროთ, ეს უფრო გადაგვარჩენს, ვინემ მონობაში რომ გავმრავლდეთ და გავსუქდეთ. ჩვენ რომ ჩვენის ხელით (ამას არავინ გვაძალებდა) შვილები რუსულ სკოლებში შეგვყავდა და კინაღამ თარჯიმნით ველაპარაკებოდით, ამას ჰქვია ერი? ქვეყანა?

აქ, წყალტუბოში რომ დავბრუნდი (მე არსად წავსულვარ, მაგრამ, ერთხანს, თბილისში და თბილისის შემოგარენში ვათევდი ღამეებს.), გადავირიე: ამოდენა, უზარმაზარი რუსული სკოლა რად გინდათ, რუსები აღარ არიან-მეთქი (ადრე, წყალტუბოს მშენებლობის დროს მეტნი იყვნენ), ღმერთი არ გაგიწყრეთ, ქართველი ბავშვი არ შეუშვათ-მეთქი! მაშინდელ აღმასკომებში და რაიკომებში გვჩიოდნენ: ადამიანის უფლებები შეგვილახეს, არჩევანის უფლება წაგვართვესო! — თითქოს მშობლის [illegible] ჩვევა შეიძლებოდეს.

სხვათა შორის, ის უზარმაზარი სკოლა (სამი ქართული გვაქვს, სამივე არაა იმ ერთის ტოლი) ცარიელი არც ახლაა.

— **იმ უგუნური გერისა არ იყოს, მამის სული რომ გაუშვა და მამინაცვლისას ფიცულობდა?**

— მერე, ეს „გერი“, კიდევ უფრო გასანათლებლად მამინაცვალთან წავიდა და ვერც ერთ ენაზე რომ ვერ ლაპარაკობდა, იქაურ ქესატ მეცნიერებს დატენილ ჯიბეებში ხელებჩაწყობილი ელაპარაკებოდა. მერე ის ხალხი ჩვენ გვალანძღავდა და გვაგინებდა: გვიგზავნით აქ უზრდელ, უხეირო ახალგაზრდობას, პროფესორ-მასწავლებლები გაგვირყვნეს და გაგვიუზნეოესო (თურმე, მეცნიერებიც ჯიბეებში ხელებჩაწყობილი დადიოდნენ).

— **ამ ლაპარაკიდან არავინ იფიქროს, ჩვენ რუსული ენის ცოდნის წინააღმდეგი ვიყოთ.**

— რავა გეკადრებათ. მე რომ არ ვიცი, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, მცოდნის ფასი არ ვიცოდე. ილია ბრძანებს: რამდენი ენა იცი, იმდენი კაცი ხარო, მაგრამ ის კი არ უთქვამს — შენი თუ არ იცი, მაინც კაცი ხარო.

ჰო, აგერ სიტყვას მოჰყვა, თორემ პოლიტიკაში ცხვირის წაყოფას სულ არ ვაპირებ. პოლიტიკის არცოდნამ და შიგ მაინც ხელების ფათურმა ჰქნა, რომ გზაკვალი აგვირია.

— **ჯობია პური მეპურემ აცხოს, არა?**

— მეპურემ. ამ მოძრაობის დროსაც ვამბობდი (ვინ მეკითხებოდა, მაგრამ მაინც, ჩემთვის) ყველა ნუ გავპოლიტიკოსდებით, მაგი ასე ხელწამოსაკრავი საქმე არ უნდა იყოს-მეთქი. — რას ბჟუტურობო! — შემომიღრენდა, თუ ვინმე ამ ჩემ ჩაპუტუნებულს ყურს წაჰკრავდა. — თუ ხარაზი არა, აგერ რომ ნალბანდი გვყავსო? — კი ბატონო, მარა ნალბანდმა ნეტავი თავისი საქმე იცოდეს და ხარაზობას ნუ მოგვთხოვთ, თორემ სულნათელი სულხან-საბასი არ იყოს, იმ მგელივით არ დაგვემართოს, ვირმა რომ კბილები ჩაამტვრია და იყმუვლა: — მამაჩემი ხარაზი იყო, მე ნალბანდად რა მრჯიდაო!

— **არადა, გვყავდა ჩვენ მეპურე.**

— მაგი, მე და შენ თუ ხეირიანად არ ვიცით, მსოფლიოს ხომ უნდა გავუგონოთ. მაგისთანა მეპურე შენი რომ არ გყავდეს, სხვისას უნდა წაუღო ფქვილი და დააცხობინო, რომ შენი მოთითხნილი, ამოუფუებელი, გაუმტკიცავი და ღადარში ჩავარდნილი კუტი პურით სასტუმრო სუფრა არ გაწყო.

ესეც სიტყვამ მოიტანა, თორემ ჩვენ (ყოველ შემთხვევაში, მე მაინც) ამეების შემფასებლადაც არ გამოვდგებით.

— **მაგრამ საქმე?**

— ეე, ყველაზე დიდი და პირჭუთველი შემფასებელი — საქმე. „საქმემან შენმან გამოგაჩინოს, შენ!“.

— **უნდა შევძლოთ.. საქმის დანახვა მაინც უნდა შევძლოთ.**

—ჯერ დანახვა და მერე გააზრება, ანალიზი. რაც არ უნდა ძნელი იყოს, ზოგადად, ადამიანური და მეორე, ქართველური ბუნებისათვის, უნდა შევძლოთ ფიქრი... ფიქრი საკუთარი, პირადული, „მეს“ გარეშე. მხოლოდ ქვეყანაზე, მხოლოდ ქვეყნის, მხოლოდ სამშობლოს ხვალინდელ დღეზე, მის მომავალზე, მის კეთილდღეობაზე.

ჩვენ ისტორიულად მოგვდგამს (იქნებ სხვა ერებსაც.) „მე და ქვეყანა“... უკეთეს შემთხვევაში— „ქვეყანა და მე...“ მუდამ გვიჭირდა ჯარისკაცის როლი. თუ მხედართმთავრობას არა, ათასისთაობას, ან ასისთაობას მაინც ყველა ვეპოტინებოდით. როცა, ჯარისკაცად ვვარგოდით თუ არა, ამას არ ვკითხულობდით. არადა, ომს ჯარისკაცები იგებენ და გენერლები იბრალებენ. უნდა შევძლოთ უჩინო ჯარისკაცობა. მთავარსარდალი სამშობლოა, ჩვენ — მისი განკარგულების აღმსრულებელნი. რას ითხოვს ის დღეს?.. იგივეს, რასაც დიდგორში და ყველა იმ ომში, როცა ჩვენი ქვეყნის ბედი, ყოფნა-არყოფნა წყდებოდა. არა მგონია, თუნდაც იმავე დიდგორში ქართველები არ იყვნენ და არ ჰქონდათ ერთმანეთთან სადავო და საცილობო. მაგრამ, დარწმუნებული ვარ, იმ ლაშქარს რომ ერთი კაცი დაჰკლებოდა, ერთ მეომარს რომ განზე დაეწყო ცქერა (ღალატზე არაფერს ვამბობ.), ისედაც შეუძლებელი, ათჯერ და მეტჯერ მეტი მტრის... მტრის კი არა, მტრების კოალიციის დამარცხება შეძლებოდათ.

— **მაგრამ ეს მას არ ნიშნავს, ყველა ერთ აზრზე ვიქნეთ.**

— ღმერთმა დაგვიფაროს! რა აზრი იქნება, თუ ყველა ერთი აზრისანი ვიქნებით, მაგრამ, როცა იარაღასხმული მტერი მოგადგება და სამშობლო გადარჩენას მოითხოვს, მაშინ სხვა და სხვა აზრის ქონას უქონლობა ჯობია. მე არც იმის მომხრე ვარ, სამშობლოსათვის უშიშარ მებრძოლს რომ აჯილდოებენ ჩინითა და მედლით. ვინც გულადი და ღონიერი იყო, მას ძალაც შესწევდა და გაიმარჯვა. მაგრამ ვინც სუსტი იყო და მოშიში, მან ხომ სამი მტერი დაამარცხა: სისუსტე, შიში და მომხდური.

— **ამ დროს, მეოთხე თუ პირველი მტერი — ერთმანეთის გაუტანლობა და ჯარში განხეთქილება?..**

— ამას გარეშე მტერიც არ უნდა. ბრძოლაში ძმათა შორის საპირისპირო აზრიც დაღუპავს ქვეყანას. „ათიათას ბრძენს ასჯერ ჯობს, ვინ გამორჩევით მჭრელიაო“— ხომ უთქვამთ? გამორჩევით ქმნა არის სწორედ ის სხვა და სხვა აზრის შეჯიბრება—როგორ დაამარცხო მტერი და იხსნა ქვეყანა, თორემ ერთმანეთი კი არა, ვისთვისაც იბრძვი—ის კი არა. სახარება გვმოძღვრავს: „გიყვარდეს მტერი შენიო“. ძმის მტრობა ვინ გაიგონა, მაგრამ მტერიც რომ მტერია, თუ ჩვენ უღმერთოები არა ვართ, ისიც უნდა გვიყვარდეს.

— **მაგრამ ჩვენი უბედურება ხომ უღმერთოებაცაა.**

უპირველესი და უდიდესი უბედურება: „ხატი ჩემი სამშობლო“ — ბრძანებს მგოსანი. თუ ადამიანს ართმევ ღმერთს, ართმევ ხატს — სამშობლოს და ამასთან ერთად ყველაფერს ადამიანურს, რად გინდა ის ამის შემდეგ. რატომ იწვალებს, იშრომებს და ოფლითა თვისითა რატომ მოიპოვებს პურს არსობისას, დაეცემა და წაართმევს ვისაც ექნება. მაგრამ თუ ისიც უღმერთო იქნება, ჰირით არ მოიწევს ჰირნახულს და აქეთ მოგინდომებს წართმევას? ქურდმპარავისა არ იყოს, თუ ადამიანს გონის ნატამალი გააჩნია, მის ყოველნაირ ქმედებას უნდა ახლდეს და ახლავს კიდეც აზრი: გლეხი რომ თესავს და მკის, რომ ვკითხოთ, გვეტყვის: ყველა რომ ასე მოიქცეოდეს, ქვეყანა დოვლათით აივსებაო. მწყემსი — ყველამ რომ ვმწყემსოთ, ყველი 130 მან. არ ეღირებაო. ფეიქარი — ყველამ რომ ვართოთ და ვქსოვოთ, ფარჩაატლასით შევიმოსებითო და ასე შემდეგ... ქურდსა და ავაზაკს რომ ვკითხოთ — ყველა რომ შენს „ჭკუაზე“ დავდგეთ, ვიღას მოვპარო-თქო, გიპასუხებს?

— **გაუჭირდება.**

— ვერ მიპასუხებს, რაკი მის ქმედებას (თუ მის ხელმრუდობას ქმედება დაერქმევა) აზრი არა აქვს, უაზროა. არ ისმნა „არა იპაროო!“ და ამდენად უღმერთოა. უღმერთობა და უაზრობა ერთნაირია.

— **უღმერთობამ მიგვიყვანა უშრომლობასთან, უსაქმურობასთან?..**

— უსაქმური იგივე ქურდია. რაც მას არ შეუქმნია, რაც სხვამ შექმნა, სხვისია... აქ განსხვავება მითვისების სხვადასხვანაირ ხერხშია, თორემ რომ ვკითხოთ, თუ არ შეგიქმნია, რით არსებობ, ისევე ვერ გიპასუხებს, როგორც მპარავი. რადგან აზრი არ ახლავს მის უმოქმედობას და უაზრობაა.

— **აი, მიწის პრივატიზაცია მიმდინარეობს. თქვენ, ჩემს ნაცნობ „მწიგნობართა“ შორის, ყველაზე ახლოს ხართ მიწასთან.**

— კი. მწერალთა შორის უკეთესი გლეხი ვარ და გლეხებს შორის — გვარიანი მწერალი.

— **კარგი, ასე ვთქვათ და... თქვენი აზრი ამის თაობაზე უთუოდ ყურადსაღები უნდა იყოს, მით უმეტეს, თვითონ გეჭირავთ თოხი ამ პაპანაქებაში, როცა ასეთ დროს ხალხი ზღვებს და მთებს აფარებდა თავს და აგარაკებზე ვენტილიატორებითა და მარაოებით იბრუნებდა სულს.**

— მე მაშინაც თოხითა და ბარით ვიგრილებდი და ვიბრუნებდი სულს. კარგია, ამ პაპანაქებიდან (რამდენად მეტია სიცხე, მით უკეთესი) მაგრად „ნავარჯიშები“ რომ ჩრდილში შეხვალ, პირდაპირ სამოთხეში ამოჰყოფ თავს. თუ ჩრდილში ხარ და დაგცხა, სადღა მიდიხარ, მაცივარში ხომ არ შეძვრები. თან, ჩრდილიდან რომ შენს ნაშრომ-ნათოხარს გადახედავ, დასურათხატებული თაბახივითაა, ახალდაწერილ წიგნებსავით. როგორ გეკადრებათ, ამას ჩრდილში მოთენთილი კოტრიალი და მაცივარში ძრომიალი შეედრება?!

ესაუბრა
დავით წერეთელი.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

მსოფლიომ უნდა გაიგოს სიმართლე

კიმოთე ალიაშვილი.

თავიდანვე უნდა აღვნიშნო, რომ შეხვედრა გამოირჩეოდა ბრწყინვალე ორგანიზაციით, რისთვისაც მადლობის ღირსია ჟურნალისტთა კავშირის კონფედერაცია, ჟურნალისტთა ფონდი.

შეხვედრა მიმდინარეობდა დევიზით — „ტელემაუწყებლობისა და ტელეჟურნალისტების დამოუკიდებლობა“.

სიმპოზიუმს უძღვებოდა მოსკოვის პირველი გერმანული სატელევიზიო ბიუროს ხელმძღვანელი, დოქტორი გერდ რუტი.

საუბრისა და კვლევის ძირითადი თემები შეეხებოდა:

— ტელევიზიის მდგომარეობას რუსეთსა და საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებში;

— სატელევიზიო დაწესებულებების სტრუქტურას დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში;

— საზოგადოებრივ, კერძო და სახელმწიფო ტელევიზიას.

— თავისუფლებას ტელეჟურნალისტის მუშაობაში;

—პირადი აზრის ადგილს სატელევიზიო გადაცემებში და სატელევიზიო ჟანრების აქტუალურ საკითხებს თანამედროვე პირობებში.

კამათმა ცხარე ხასიათი მიიღო: უპირველესად მინდა შევეხო ჟურნალისტურ ძიებას, კომენტარისა და პირადი აზრის ადგილს, ჟურნალისტის თავისუფლებასა და პასუხისმგებლობას;

ამ საკითხებზე მსჯელობა კონკრეტული მაგალითებით წარიმართა და რასაკვირველია პირველი ადგილი დაიკავა დნესტრისპირეთის, ყარაბაღის ამბებმა და ქართველების მიერ წამოწყებულმა „ნაცისტურმა გენოციდმა“.

ვფიქრობ, იმ დარბაზიდან რეპორტაჟის გადაცემა არ იქნება მიზანშეწონილი. უპრიანია, მიმოხილვა გაკეთდეს.

ქართველების მიმართ წამოყენებული ბრალდება იყო ეროვნულ უმცირესობათა ჩაგვრა საქართველოში, ოსებისა და აფხაზების გენოციდი, მათი მიწების გამოყოფა და რუსეთისათვის გადაცემა, სხვა ეროვნულ-ეთნიკური ჯგუფებისათვის ავტონომიის მიცემა, „დაჩაგრული“ ხალხების იარაღით დაცვა, რუსულენოვანი სწავლების გაღრმავება.

მოიყვანეს მაგალითები, რომლებსაც რუსეთისა და თვით ოსეთის კორესპონდენტები აჟღერებდნენ. ერთმა რეჟისორ-ოპერატორმა განსაკუთრებით გამოიდო თავი. გმირად წარმოჩნდა: მე თავად ვიყავი ადგილზე, პირადად ვნახე როგორ ხოცავენ ქართველები ოსებსო. როგორ ესვრიან, როგორ აფეთქებენ, წვავენო..

სურათი საკმაოდ მძიმე იყო. თითქმის არავითარი გამოსავალი არ მქონდა. ერთადერთი, ალბათ, მეც უნდა დამეწყო საპირისპირო სიტყვიერი მტკიცება და სხვა ფაქტების მოყვანა. დუმილი კი ამ შემთხვევაში თანხმობის მომასწავებელი იქნებოდა.

ჩემი გამოსვლა დავიწყე იმით, რომ დამსწრეთ განვუცხადე, 30 წელზე მეტია ჟურნალისტად და რეჟისორად ვმუშაობ-მეთქი. ჩემი მოკამათე მოყვა ბადეს: მეც მუშაობის დიდი სტაჟი მაქვსო, — მომახალა მაშინვე. პირადად მას შევეკითხე, ჭადრაკის დარბაზიდან თუ გადმოგიციათ რეპორტაჟი-მეთქი. როგორ არა, ადრე სპორტული ჟურნალისტი ვიყავიო.

დარბაზში უკვე სრული სიჩუმე იდგა. მე ახლა მათ მივმართე. ალბათ, ყველას მიგვიღია მონაწილეობა, ან გვიცქერია ჭადრაკის თამაშისათვის. როცა კაცი თეთრი ფიგურების მხრიდან დასცქერის, ჭადრაკის დაფა სულ სხვანაირად ჩანს, შავების მხრიდან — სულ სხვანაირად. გარდა ამისა, ყველაზე პატიოსანი და პროფესიონალი ჟურნალისტიც კი იმ სპორტული შეჯიბრების გადაცემის დროს, რომელშიც თვითონ არ მონაწილეობს, ტენდენციურია. ყველა დამეთანხმებით, რომ ეს ცხადზე ცხადია.

დარბაზის რეაქცია ჩემს სასარგებლოდ იყო.

მე კი ხაზი გავუსვი იმ გარემოებას, რომ ჩემი მოპაექრე ოსების მოწვეული იყო. მან მაშინვე მოახდინა ნერვიული რეაგირება: როგორ, ჩემს პატიოსნებაში შეგაქვთ ეჭვიო!

მოწინააღმდეგე საბოლოოდ წამოეგო ჩემს ანკესს. მე მაშინვე მივუგე — ღმერთმა დამიფაროს, რომ თქვენს პატიოსნებაში ეჭვი შევიტანო ან სიტყვა იქნება თუ გადაღებული ფაქტი, არ დავიჯერო, მაგრამ ნება მიბოძეთ, კომენტარი გავუკეთო და დასკვნის გამოტანა დამსწრეთ ვთხოვოთ.

• • •

როგორც თქვენ ბრძანეთ, იმავე სანგარში იჯექით, სადაც ოსები იყვნენ. შესაძლოა მეომრული ძმათნაფიცობაც შეუთქვით ერთმანეთს?! თქვენს გვერდით სკდებოდა ჭურვები და ყურებთან გიწიოდათ ტყვიები. საკუთარი თვალით ნახეთ მოკლულები, დაჭრილები. დანგრეული და გადამწვარი სოფლები...

თქვენი არ ვიცი და ზოგიერთი თავგის სოროს ძებნას დაიწყებდა.

ჟურნალისტთა საერთაშორისო სიმპოზიუმი

შიშით ერთი ტყვია და ყუმბარა ათასად მოეჩვენებოდა. ერთი დაჭრილი — მთელ ლაზარეთად და საცხედრედ. ფაქტია, ყველა ნორმალურ ადამიანში, ასეთ შემთხვევაში, იღვიძებს ადამიანის ფარული თუ ღია ინსტინქტი — სიძულვილი სისხლისღვრისადმი.

• • •

და თქვენ ეს ყველაფერი პირადად აღბეჭდეთ ფირზე?!

— დიახ!

ახლა მინდა გკითხოთ. ბატონო, თქვენ რომ ქართველების სოფელში ყოფილიყავით, უეცრად გაეხსნათ საარტილერიო ცეცხლი და ერთი ვაი-უშველებელი ატეხილიყო, მაშინ რას გადაიღებდით და რას იტყოდით?! იქნებოდა თუ არა თქვენი ფილმი დღევანდელის საპირისპირო?!

როცა პატარა პაუზის მერე მოპაექრემ მიპასუხა, რომ მე ქართველებისაგანაც ავიღე ინტერვიუ და ოსებისაგანაცო. მე ისევ სიტყვა შევაშველე: ოსები იტყოდნენ, ქართველები გვჟლეტენო, და ქართველები — პირიქით, განა ეგ ცვლის რაიმეს-მეთქი?!

დარბაზის რეაქციამ სიმხნევე შემმატა.

— მაშ როგორ უნდა გაკეთდეს ფილმი?! — მკითხა ჩიხში მომწყვდეულმა მოკამათემ.

— როგორ და საფუძვლიანად უნდა შეისწავლოთ ეთნოგრაფიული, ისტორიული, გეოგრაფიული, პოლიტიკური საკითხები, გააანალიზოთ და ყველაფერს დაარქვათ თავისი სახელი. რასაკვირველია, ამას ბევრად მეტი დრო დასჭირდება. სამაგიეროდ თავიდან ავიცილებთ არასწორ დასკვნებს. არ შეურაცხვყოფთ ერთს და არ აღვაზევებთ მეორეს. მაშინ ვიქნებით ღვთისა და კაცის წინაშე მართალი, ჩვენს ჟურნალისტურ სინდისთან პირნათელი.

აქვე ხაზი გავუსვი და ვთხოვე დამსწრეთ, ქართულ-ოსურ-აფხაზური ეთნოკონფლიქტის განხილვისას მხედველობაში მიიღონ შემდეგი გარემოებანი:

— ის მიწები, რომლის მითვისებაც ახლა ოსებს (ან სხვათა და სხვათა) სურთ, წმინდა ქართული მიწა-წყალია. ისინი ჩვენ ოსი მოსახლეობიანად კი არ დაგვიპყრია, როგორც ზოგიერთ სხვა ერს, არამედ საკუთარი ცისქვეშ სამადლოდ შევიფარეთ ოსები უახლოესი 50-100 წლის წინათ, ახლა კი მათ ამ ადგილების მთლიანად მიტაცება სურთ:

— ამ სისხლისღვრის წამომწყები ოსეთის მხარეა, რასაც საფუძვლად თითქოსდა „თვითგამორკვევას“ უდებენ, სინამდვილეში წამქეზებელს სხვა მიზანი აქვს;

— სისხლისღვრა ხალხს კი არ სწადია, მის კრიმინალისტ მოთავეებს, საუბედუროდ, ორივე მხრიდან. ფაქტებით დასტურდება, რომ არც მესამე ძალა აკლიათ;

— საქართველოს რესპუბლიკას ისეთი საერთაშორისო მნიშვნელობის მშვიდობისმოყვარე პოლიტიკოსი ხელმძღვანელობს, რომელიც სხვის ქვეყნებში, მსოფლიოში მშვიდობის მომტანია და საკუთარ ქვეყანაში, მით უმეტეს, არ ეცდება დესტაბილიზაციას. ამას მოწმობს ბატონ ედუარდ შევარდნაძის ყოველი სიტყვა და საქმე. ისიც აუცილებლად მხედველობაშია მისაღები, თუ რა მდგომარეობაში დახვდა მას რესპუბლიკა;

— საქართველოს ისტორიულად არასოდეს დაუპყრია სხვისი მიწები;

— მის მზის ქვეშ მრავალი ეროვნების ხალხია გალაღებული;

— რუსეთთან შეერთების და გასაბჭოების წლებში საქართველომ დაკარგა უამრავი ტერიტორია. თვით ოსებს აქვთ მიტაცებული დვალეთი, რუსეთს სოჭის მხარე ტუაფსემდე. აზერბაიჯანს გადასცეს საინგილო, სომხეთს — ალავერდი...

იმიტომ ხომ არ გვედავებიან გამოღმა, რომ მთლად მოგვისპონ სურვილი და საშუალება მოვითხოვოთ ჩვენი, კანონიერი მიწები?!

— სისხლიანი საშინელებები (ამოწყვიტეს ბავშვები და ქალები) სამწუხარო ფაქტია, მაგრამ გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ იმას, რომ ოსეთის მხარე არ უშვებს სამართალდამცველ ორგანოებს მოიძებნონ დამნაშავეები. ეს [illegible] ღრმად შესწავლის და განხილვის ღირსია. მოხდა კი ეს ამაზრზენი შემთხვევა?!

— ხომ არ გეჩვენებათ ტენდენციურად ტერმინები: „ოსი ლტოლვილი“, „ოსი თავისუფლების დამცველი“, „ოსი დაჩაგრული“... ქართველები?!... „ბოევიკები“, „ბანდიტები“, „სისხლისმსმელები“...

— ყურადსაღებია ის სინამდვილე, რომ ამ „გენოციდში“ არ დაღუპულა არც ერთი რუსი, ებრაელი, სომეხი, აზერბაიჯანელი, აისორი, ქურთი...

— „გაიხიზნა“ 60 ათასი და დაბრუნებას ითხოვს 150 ათასი ოსი(?!)

ხომ არ არის ეს ასიმილაციისა და სხვისი მიწა-წყლის დაპყრობის ერთ-ერთი მეთოდი?!

— საქართველოს მიწაზე უფრო მეტი ოსი სხვაგან ცხოვრობს;

— გადამოწმდეს ფაქტები, ოსი ქალები ქართველ დაღუპულებს რომ „გლოვობენ“.

— ვის სახლ-კარს ატირებენ ოსები?!!!

— პირველი სოფლები სად დაიწვა?!

ეს და მრავალი სხვა ასპექტია გასათვალისწინებელი, როცა საქმე ეხება ასეთ სერიოზულ საკითხს. ამიტომ მინდა ვთხოვო ჩემს კოლეგებს, რეჟისორ-დოკუმენტალისტებს, თუ ჟურნალისტებს, ქართველებს თუ ოსებს, საერთოდ ყველა რჯულის ალალ-მართალ პროფესიონალს, ზედმიწევნით ზუსტად, ღრმა ცოდნით და სიმართლით წერონ ამ საკითხის ირგვლივ.

აუცილებელია მსოფლიომ გაიგოს სიმართლე. უნდა მოინახოს განსაკუთრებული ფორმა, რომ სიმართლით და სარწმუნოდ ითქვას ყველაფერი.

მიტევება, შერიგება

„თუ ქართველთა შერიგებისათვის მსხვერპლია საჭირო, დაე ეს იყოს ბოლო“...

სრულიად საქართველოს გია აბესაძის სახელობის საზოგადოება ქართველი ხალხის ეროვნული თანხმობისა და საყოველთაო მშვიდობისათვის ჩირაღდნად ანთებული ნათელი პიროვნების სახელისა და იდეალების უკვდავსაყოფად შეიქმნა.

საზოგადოების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა გია აბესაძის სახელობის ეროვნული თანხმობისა და მშვიდობის მუზეუმის დაარსება, რომელშიც აისახება ყველა იმ ქართველ მამულიშვილთა ცხოვრება და მოღვაწეობა, რომლებმაც თავი შესწირეს საქართველოს მთლიანობას, ეროვნულ თანხმობას, საყოველთაო მშვიდობას. ერთი კუთხე დაეთმობა გია აბესაძის ცხოვრებას და მოღვაწეობას. მუზეუმში იმუშავებს სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო წრეები, რომლებიც ხელს შეუწყობენ მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას. საზოგადოება იზრუნებს გაჭირვებულ და მრავალშვილიან ოჯახებზე, უპატრონო ბავშვებსა და სტუდენტებზე, საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

დღეს, როცა საქართველო უკვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრია, როცა ამ ღირსსახსოვარი მოვლენის აღნიშვნით დაიწყო დიდი ეროვნული შერიგება, სრულიად საქართველოს გია აბესაძის საზოგადოებას შეუძლია და მოვალეც არის შეიტანოს სოლიდური წვლილი ამ ერისათვის მეტად სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე, თანამოძმეთა შერიგების, ეროვნული თანხმობის, პოლიტიკური სიტუაციის საბოლოო სტაბილიზაციის მიღწევისათვის ყველა პროგრესულად მოაზროვნე მამულიშვილის ურთულეს ბრძოლაში.

21 სექტემბერს სრულდება ერთი წელი იმ დღიდან, როცა საკუთარ თავზე ამაღლებულმა, ერის კეთილდღეობისათვის გულანთებულმა ექიმმა გია აბესაძემ ყველაზე ძვირფასი — საკუთარი სიცოცხლე შესწირა ეროვნულ თანხმობას, საყოველთაო მშვიდობას.

„თუ ქართველთა შერიგებისათვის მსხვერპლია საჭირო, დაე, ეს იყოს ბოლო“... მარადისობაში გადასული კაცის ქმედება და უკანასკნელი სიტყვები ბევრ კონკრეტულ შემთხვევაში უგულვებელყვეს, როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან. დროა, ახლა მაინც გავაცნობიეროთ მთელი შეგნებით ეს ზებუნებრივი თავგანწირვა მისი მარტვილი სულის მოსახსენიებლად.

ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია, როგორც დაწყებული დიდი ეროვნული შერიგების გაგრძელება, სათანადოდ მომზადდეს და აღინიშნოს ექიმ გია აბესაძის წლისთავი. მისი სულის მოსახსენიებლად მიმდინარე წლის 21 სექტემბერს გამოცხადდეს მიტევების კვირეული. კვირეულის ბოლოს აინთოს ქაშვეთის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე რუსთაველის გამზირის მხრიდან (შესაძლებელია სახელმწიფო საბჭოს მიერ სხვა უკეთესი ადგილის შემოთავაზება) მიტევების ჩირაღდანი, რომელიც, ჩვენი აზრით, გადამწყვეტ როლს შეასრულებს ისტორიულად მორწმუნე ქართველი ხალხის მრწამსში, შერიგების, ეროვნული თანხმობის, სულიერი განწმენდისა და შემწყნარებლობის დაფუძნებისათვის. როგორც მოგეხსენებათ ანალოგიური ყოველწლიური მიტევების კვირეულის გამართვის ტრადიცია და მიტევების ჩირაღდანი არსებობს იტალიაში და ევროპის სხვა ქვეყნებშიც.

გვჯერა, ყველა ჭეშმარიტი მამულიშვილის თანადგომის, რამეთუ ჩვენი ძალისხმევა საქართველოსათვის, მისი ნათელი მომავლისათვის, თითოეული ჩვენგანის ფიქრისა და ზრუნვის საგნად მიგვაჩნდა, რომლის გამოხატვის შესაძლებლობა ნებისმიერი თანხის ჩარიცხვით ყველას გაქვთ, როგორც პიროვნულად, ისე ორგანიზაციის სახელით.

ჩვენი ანგარიშია: „გია აბესაძის საზოგადოება“ № 845001, კომერციული „პროგრესბანკი“, საქართველოს ეროვნული ბანკი № 700161759 მფო 522 447.

ავთანდილ მემარნიშვილი,
სრულიად საქართველოს გია აბესაძის საზოგადოების თავმჯდომარე.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

მორიგი პროვოკაცია

აფხაზეთის მოვლენებთან დაკავშირებით რადიოსადგურმა „თავისუფლებამ“ პირდაპირ ეთერში გადაცემისას პროფესორ ტარას შამბას და აკადემიკოს სახაროვის მეუღლეს ელენე ბონერს ჰკითხა თუ როგორ აფასებენ ისინი შექმნილ სიტუაციაში რუსეთის როლს. ტარას შამბამ განაცხადა, რომ რუსეთი და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქი საქართველოს სახელმწიფო საბჭოს უჭერენ მხარს. რუსეთის საჰაერო-სადესანტო პოლკი თანამშრომლობს საქართველოს ჯარების ხელმძღვანელობასთან, რომ აფხაზეთი ყოველი მხრიდან გარშემორტყმულია. თუ სეპარატისტი პროფესორის წუხილი გასაგებია, ელენე ბონერის პოზიცია აშკარად პროვოკაციული, ტენდენციური და არც თუ შორსმჭვრეტელურია. ბონერის სიტყვით, საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე, თურმე, აფართოებს სამოქალაქო ომს. ბონერი განზრახ უვლის გვერდს ედუარდ შევარდნაძის როლს ცხინვალის კონფლიქტის მოწესრიგებაში, რომელიც მისაბაძი გახდა არა მარტო დნესტრისპირეთის კონფლიქტის მოწესრიგების, ამასთანავე ბონერი ადანაშაულებს დასავლეთს და რუსეთის პრეზიდენტს ბორის ელცინს რომ არ აქცევენ ყურადღებას მთიან ყარაბაღში აზერბაიჯანელთა მოქმედებას, რადიოსადგურის წამყვანი ასეთ პარალელს ყარაბაღისა და აფხაზეთს შორის „სამწუხარო პარალელად“ მიიჩნევს და ამით კომენტარს ამთავრებს. აფხაზები საქართველოს ძირძველი მოსახლეობაა და აფხაზეთის სეპარატისტული ძალების მოქმედებამ განაპირობა საქართველოს შეიარაღებული ძალების შესვლა საქართველოსავე ტერიტორიაზე წესრიგის აღსადგენად, მაგრამ აფხაზეთის სეპარატისტებს ხელს არ აძლევთ კონფლიქტის იმგვარი მოწესრიგება, რომელიც ეწინააღმდეგება მათ ზრახვებს. ბონერს არაფერი უთქვამს, იმ როლზე, რომელიც მან ყარაბაღის კონფლიქტის გაჩაღებაში შეასრულა. მისი მასშტაბი საშიშად გავრცობის საფრთხეს შეიცავს. როცა ბონერი ყარაბაღის კონფლიქტის მოწესრიგებაზე ლაპარაკობს, ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ საერთაშორისო სამართლით აღიარებული ერთა თვითგამორკვევის და დამოუკიდებლობის უფლება გულისხმობს სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის დაცვას. არ შეიძლება მათი დაპირისპირება. ეთნიკური კონფლიქტების გამართლება მხოლოდ ხალხების კომპაქტური დასახლების ან ისტორიული, წარსულის პრინციპით რომ წყდებოდეს, მსოფლიოში პრაქტიკულად არ დარჩებოდა არც ერთი ქვეყანა, სადაც ათობით ახალი სახელმწიფო, რამდენიმე, პარალელურად არსებული ერთი და იგივე ეროვნების ქვეყანა არ შეიქმნებოდა. და ეს მსოფლიო მასშტაბის არეულობასა და კონფლიქტებს გამოიწვევდა. მაშინ ხომ ყველა ერი და ხალხი ერთმანეთს დაერეოდა სუვერენიტეტისა და ეროვნული თვითგამორკვევის ლოზუნგით. ეთნიკური კონფლიქტების გადაწყვეტა მხოლოდ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების შესაბამისად უნდა ხდებოდეს. უმაღლესი არბიტრი გაერო და საერთაშორისო კონფერენციებია. აფხაზეთში შექმნილი ვითარება საქართველოს საშინაო პრობლემაა, რომელიც საერთაშორისო სამართლის ნორმების სრული დაცვით მოწესრიგდება, იგი არ გულისხმობს საქართველოს ტერიტორიაზე ორი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას და მით უმეტეს ერთი და იგივე ერის ორი სახელმწიფოს შექმნას, რაც მსოფლიო პრაქტიკამ ჯერჯერობით არ იცის და რომლისაკენ ელენე ბონერი უბიძგებს ყარაბაღს. საქმე, იქამდე მივიდა, რომ თვით სომხეთში ყარაბაღის დამოუკიდებლობის ცნობა-არცნობის საკითხი ქვეყნის კანონიერი პრეზიდენტის ლევონ ტერ-პეტროსიანისადმი დაპირისპირებად გადაიქცა. გარკვეული ძალები პრეზიდენტის დაუყოვნებლივ გადადგომას მოითხოვენ. ასეთია ელენე ბონერის მიერ „შორსმჭვრეტელურად გათვლილი“ ყარაბაღის მომავლის გადაწყვეტის სავალალო შედეგი. და ბუნებრივია, ელენე ბონერი ასეთ შემთხვევაშიც სხვათა ჭკუის მასწავლებლად ვერ გამოდგება. მას „დიდების შარავანდედს“ აკადემიკოს სახაროვის სახელი თუ უქმნის.

ირაკლი ჯაფარიძე.

მთავრობის ფონდი

იაპონიის საგარეო ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო აპირებს დააწესოს რუსეთისათვის ტექნოლოგიური დახმარების აღმოჩენის მხარდამჭერი მთავრობის ფონდი. ფონდის ამოცანაა რუსეთში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმებისათვის იაპონიის სხვადასხვა სახის ტექნოლოგიური დახმარების დაფინანსება, კერძოდ, წარმოების მართვისა და ორგანიზაციის დარგში სპეციალისტთა გაგზავნა. ატომურ ელექტროსადგურებში უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარება.

სეული უარყოფს

საზღვარგარეთის ქვეყნების ინფორმაციის საშუალებების ცნობები სამხრეთ კორეასა და ჩინეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის საიდუმლოდ დამყარების შესახებ, მართალი არ არის, ნათქვამია კორეის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებაში. უარყო რა ეს მტკიცებანი, სამხრეთ კორეის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ასევე „აბსოლუტურად უსაფუძვლო“ უწოდა ტაივანის პარლამენტის ზოგიერთ პირთა განცხადებას, თითქოს კორეა დათანხმებულიყოს ცნოს „ერთიანი ჩინეთის“ პეკინისეული პოლიტიკა და გადასცეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას 2 მილიარდი დოლარი კრედიტი.

ვიზიტების სერია

სექტემბერში რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის იაპონიაში გამგზავრების მოსამზადებლად დაიწყო ორ ქვეყანას შორის ვიზიტების სერია. რუსეთის პრეზიდენტის აპარატის ხელმძღვანელი პეტროვსკი ტოკიოში ჩავიდა. იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი ვატანაბე აგვისტოს მიწურულს — სექტემბრის დამდეგს მოსკოვში შეხვდება თავის კოლეგას ანდრია კოზირევს.

ისრაელის მინისტრი მოსკოვში

ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი შ. პერესი მოსკოვში ხვდება რუსეთის პრეზიდენტს ბ. ელცინს და საგარეო საქმეთა მინისტრს ანდრია კოზირევს. განიხილავენ ახლო აღმოსავლეთის მშვიდობიანი მოწესრიგების მოლაპარაკების მეექვსე რაუნდთან დაკავშირებულ საკითხებს. მოლაპარაკება, რომელიც რუსეთისა და ამერიკის ეგიდით მიმდინარეობს, 24 აგვისტოს ვაშინგტონში განახლდება.

თითო აბზაცით

ჯორჯ ბუში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატია რესპუბლიკური პარტიისაგან — ასეთია ჰიუსტონში რესპუბლიკელთა ეროვნული ყრილობის მთავარი შედეგი. ფორუმის დელეგატებმა მოიწონეს დენ ქუეილის კანდიდატურა ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე. ამრიგად, ნოემბრის არჩევნებში ამჟამინდელი რესპუბლიკელი პრეზიდენტის ჯ. ბუშისა და ვიცე-პრეზიდენტის დ. ქუეილის მეტოქეები იქნებიან დემოკრატები ბ. კლინტონი და ა. გორი.

დამასკოში მთავრდება არაბული ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებისა და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის წარმომადგენლის შეხვედრა. განიხილეს ვაშინგტონში ახლო აღმოსავლეთის მოწესრიგების მოლაპარაკებაზე მხარეთა პოზიციები. უკმაყოფილება გამოითქვა ამერიკელთა მიერ ისრაელისათვის 10 მილიარდი გარანტირებული კრედიტის გამოყოფის გამო.

შტუტგარტში გაიმართა გერმანიისა და იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრების კინკელისა და კოლომბოს შეხვედრა იუგოსლავიის სამშვიდობო კონფერენციის მომზადების საკითხებზე, რომელიც 26-28 აგვისტოს ლონდონში გაიმართება.

ვილნიუსში ჩავიდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორ-განმკარგულებელი მიშელ კამდესიუ, რომელიც ამთავრებს თავის ვიზიტებს ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერაყის მასობრივი მოსპობის იარაღის ლიკვიდაციისადმი მეთვალყურეობის საინსპექციო ჯგუფის ხელმძღვანელმა ნიკიტა სმიდოვიჩმა განაცხადა, რომ „ერაყის მხარემ მსოფლიო გაერთიანების წარმომადგენლებს ახალი ცნობები მიაწოდა ერაყში მომაკვდინებელი იარაღის წარმოების პროგრამის შესახებ, რომლებსაც დიდი ხანია ელოდნენ გაეროს სპეციალისტები“.

პარლამენტის კომისიამ, რომელიც იძიებს ბრაზილიის მთავრობაში კორუფციის ფაქტებს, მიაჩნია, რომ არსებობს საკმარისი საბუთი იმისა, რომ ბრაზილიის პრეზიდენტი ფერნანდო კოლორი უშუალოდ მონაწილეობდა თავისი დაახლოებული პირების ფინანსურ მაქინაციებში.

ომარ კელაპტრიშვილის ხსოვნას

ლერწმის ყელიდან ამოღვრილი სამყარო

კიდევ ერთი განუმეორებელი შემოქმედი გამოაკლდა საქართველოს, მილიონობით მსმენელსა და მაყურებელს. ხანმოკლე, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა რესპუბლიკის სახალხო არტისტი, საერთაშორისო ფესტივალების ლაურეატი, სახელმწიფო ანსამბლ „რუსთავის" სოლისტი, სალამურის ვირტუოზი **ომარ კელაპტრიშვილი.**

ომარ მიხეილის ძე კელაპტრიშვილი დაიბადა 1948 წელს ქართლის ერთ-ერთ მშვენიერ სოფელ კავთისხევში. სწორედ დიდასოფლისგან გამოჰყვა მას ის სიბლიო და მადლი ბუნებისა, რითაც, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მსმენელთა გულების დაპყრობა შეძლო.

კელაპტრიშვილის ფენომენი ახალი სიტყვა იყო ქართულ ფოლკლორულ ხელოვნებაში. არმაზის სანახებივით მრავალფეროვანი ჩანდა ლერწმის ყელიდან ამოღვრილი სამყარო, მცხეთის კალთებივით წმინდა და ანკარა იყო ის ხმა, რომელიც სამ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ასე ატყვევებდა და ნუსხავდა მსმენელთ. სწორედ ომარმა შეძლო თავის ცნობილ მასწავლებელ ბატონ კირილე ვაშაკიძესთან ერთად ახალი სივრცეები მოეძებნა და უკვდავი სული შთაებერა მანამდე მივიწყებული და თითქმის მტვერწაყრილი მრავალი ხალხური საკრავისათვის.

ანსამბლ „რუსთავის" დაარსებიდან მისი წამყვანი სოლისტი გახლდათ და ღვთაებრივი ჰამლეტ გონაშვილის გვერდით ანსამბლის ყველა წარმატების აქტიური მონაწილე. სწორედ აქ, ამ ვარსკვლავთ კრებულში გამოვლინდა ომარ კელაპტრიშვილის საოცარი ნიჭიერება, მისი საშემსრულებლო ხელოვნების დახვეწა და ამაღლება.

კელაპტრიშვილის ხელოვნებას აღტაცებაში მოუყვანია მსოფლიოს ორმოცდაათზე მეტი ქვეყნის მაყურებელი. მსოფლიო პრესა მხოლოდ ვირტუოზის სახელით ამკობდა უკვდავ შემოქმედს.

განსაცვიფრებელი იყო დიდი მუსიკოსის მომთხოვნელობა საკუთარი თავისადმი. იგი ერთნაირი მონდომებითა და პასუხისმგებლობით უკრავდა დიდსა თუ პატარა სცენაზე. ომარ კელაპტრიშვილი ცნობილი გახლდათ, როგორც პედაგოგი და მრავალი ნიჭიერი მუსიკოსის აღმზრდელი. დიდი წვლილი მიუძღვის ქართულ-ხალხურ საკრავთა სტუდიის შექმნაში. საოცარი გატაცებით მუშაობდა საქართველოს ტელევიზიაში, მის მიერ შექმნილ ხალხურ საკრავთა ანსამბლში. მანვე ჩამოაყალიბა ქალთა ანსამბლი „იავნანა". მარტო ის რად ღირს, რომ აღმოსავლეთის ჰანგთა მეუფე დუდუკი ქართული ეშხით ჩაატკბო და ჩააგვირისტა.

წავიდა ჩვენგან ჩინებული ხელოვანი, ოჯახისა და მამულის უსაზღვროდ ტრფიალი, სალამურის განუმეორებელი დიდოსტატი ომარ კელაპტრიშვილი, ისღა დაგვრჩენია, გალაკტიონის სიტყვებით დავემშვიდობოთ, ძვირფასო ომარ!

„მიდიხარ, მშვიდი გქონდეს მგზავრობა"...

მშვიდობით!...

საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო; საქართველოს მწერალთა კავშირი; საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირი; საქართველოს მუსიკოსთა საზოგადოება; საქართველოს ქორეოგრაფიული საზოგადოება; სახელმწიფო ანსამბლი „რუსთავი".

ჯადოსნური სალამურის ხმაზე

ამდენ უღვთო სიკვდილშიაც კი გამორჩეულია ომარ კელაპტრიშვილის მოულოდნელი წასვლა! — სიკვდილმა, როგორც საერთოდ სჩვევია, დაგვანახა მისი ნამდვილი ფასი, მისი სიმაღლე.

ომარ კელაპტრიშვილი ვირტუოზი იყო. რა ცოტაა ვირტუოზი ამქვეყნად! რა ცოტაა ვირტუოზი საქართველოში!

იგი იყო ერთადერთი, ისევე, როგორც ერთადერთი იყო მისი ადრე წასული ძმა ჰამლეტ გონაშვილი...

დღეს ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რომ მთელ მსოფლიოს დავანახოთ, თუკი რაიმე ხინჯი ჰქონია ჩვენს ეროვნულ ხასიათს...

ომარ კელაპტრიშვილმა დაუზარებლად ჩამოიარა მთელი მსოფლიო და ყველას დაანახა ჩვენი ხალხის სილამაზე და სიკეთე...

ომარ კელაპტრიშვილი უკვდავია, რადგან მისი გოგო-ბიჭებ, ზღაპრის გმირებივით, ჯადოსნური სალამურის ხმაზე გამოიხმობენ მის მშვენიერ სულს, და იგი მარად დარჩება ჩვენთან თავისი სალამურით, ოდნავ შემცბარი და დაბნეული გადაუღებელი ტაშის გამო...

ლამისყანაში, მისი სათაყვანებელი პოეტის იუბილეზე, როცა მისი ძმა დიდებულად უკრავდა სალამურს და გულში ალბათ ეჭიბრებოდა თავის სახელოვან ძმას, ომარმა ღიმილითა და ხუმრობანარევი კილოთი გაგვიმხილა მე და გივი გეგეჭკორს, რომ თავადაც წერდა ლექსებს, მეტწილად სალაღობოს, და რომ სურდა, ჩვენც წაგვეკითხა ისინი...

მე მინდა მივუსამძიმრო ომარის ოჯახს, ომარ კელაპტრიშვილ-უმცროსს, — მისი გვარისა და ჰანგის გამგრძელებელს, მთელ საქართველოს, და გამორჩეულად, მაინც ჩვენს ძვირფას ანზორ ერქომაიშვილს, რომელიც ზედიზედ კარგავს ვირტუოზ ძმებს...

ომარ კელაპტრიშვილი უკვდავია. — საქართველოს, რომელმაც დიდ გზაჯვარედინზე უკვე მოახდინა არჩევანი, მუდამ დასჭირდება მისი ჯადოსნური სალამური!

— ბის! ბის! — კიდევ უთვალავჯერ დაიძახებს საქართველო, და კიდევ უთვალავჯერ გამოვა სცენაზე მისი ლამაზი, ხუჭუჭთმიანი შვილი, რომლის საოცარ ფილტვებში არასოდეს თავდება მშობლიური ქართლის ჰაერი...

ტარიელ ჭანტურია.

კაცური მადლობა

„უმაღლესად დახვეწილ ვირტუოზი შემსრულებლის — ომარ კელაპტრიშვილის მიერ ქართულ ფლეიტა-სალამურზე ნაზი ტემბრითა და ულამაზესი ბგერებით მგზნებარედ შესრულებული ქართული მელოდიები ბერძნული ღმერთების ინსტრუმენტების ჟღერადობას მოგვაგონებს" — ასე ეხმაურებოდა უცხოეთის პრესა ომარ კელაპტრიშვილის გამოსვლებს. იგი „რუსთავთან" ერთად 24 წლის განმავლობაში გამოდიოდა სცენაზე და ანსამბლისთვის დიდი წარმატება მოჰქონდა.

ჩვენ მოწმე ვიყავით, თუ როგორ უმართავდნენ ოვაციას მსოფლიოს უდიდესი საკონცერტო დარბაზები ამ მართლაც ვირტუოზ შემსრულებელს.

ასიათასობით უცხოელ მაყურებელს საქართველოზე წარმოდგენა სწორედ ისეთი მაღალი რანგის ხელოვანი ოსტატების წყალობით შეექმნა, როგორიც იყო ომარ კელაპტრიშვილი.

მისი უზადო აკომპანიმენტი ჰამლეტ გონაშვილის ისედაც მომხიბვლელ ხმას კიდევ უფრო აფერადებდა და მომაჯადოებელს ხდიდა. ამ ორი ვირტუოზის დუეტი, რომელიც წლების განმავლობაში ამშვენებდა ანსამბლ „რუსთავს", ნიმუშად დარჩება ქართულ ხელოვნებაში.

„რუსთავს" კიდევ ერთი მკვიდრი ბურჯი გამოეცალა.

ომარ კელაპტრიშვილის უდროო გარდაცვალებამ თავზარი დასცა მის უამრავ თაყვანისმცემელს საქართველოში, ხოლო მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში კვლავაც ელიან მგზნებარე „ვირტუოზ-ფლეიტისტს", რომელიც ასე აჯადოებდა მათ.

მინდა განშორების ჟამს ომარ კელაპტრიშვილს კაცური მადლობა ვუთხრა იმ დიდი ხელოვნებისთვის, რომელმაც ანსამბლ „რუსთავს" სახელი მოუხვეჭა, ხოლო მრავალრიცხოვანი მაყურებლის გულში მარადიული სასუფეველი დაიმკვიდრა.

ანზორ ერქომაიშვილი.

დაობლებული სალამური

როგორ გელაპარაკო, ომარ, ჩემო უმცროსო ძმაო, წარსულ დროში?! როგორ ჩაგთვალო უკვე სულეთის ბინადრად?! როგორ გავუძლო აწ უკვე ჩემს ხელში მკვნესარ შენს დაობლებულ სალამურს?

მე იშვიათად მინახავს კაცი, ასე რომ მოხდენოდეს და გაემართლებინოს თავისი გვარი. მართლაც კელაპტარივით ბიჭი იყავი. წმინდა და ნათელი.

მოყვასის სიყვარულს გულში ვერ იტევდი და სალამურიდან გეღვრებოდა დაუსრულებლად. მაგრამ შენ ხომ მხოლოდ საოცარი მუსიკოსი არა ყოფილხარ. კაცი იყავი, ჭეშმარიტი. მრავალგზის აგიწევია კაცობის სახელდაო ქვა ჩვენი ტიალი წუთისოფლის ყველა ასპარეზზე: ოჯახში თუ მეგობართა წრეში, ოსტატ-შეგირდობაში თუ შენს უნატიფეს ხელოვნებაში.

ერთ რამეს, შენც რომ შემინდო, მე ჩემს თავს ვერ ვაპატიებ: საავადმყოფოს კართან მოსულმა, შენი მონახულება გადავდი რაღაც საგაწამაწიო სასწრაფო საქმის გამო, ომარს ხვალ ვინახულებ-მეთქი. რა ვიცოდი მე შენთავმკვდარმა, რომ ეს „ხვალ" უშენოდ გათენდებოდა. ვაგლახ, ამ გათენებას.

და აი, შენს უტყვ ცხედართან ვდგავარ უმწეოდ და ირგვლივ მავლია შენი მთრთოლვარე ჰანგით შეღრხეული ჰაერი.

ვახუშტი კოტეტიშვილი.

კელაპტარივით დამწვარი...

ვეხუმრე ერთხელ: ბებრის ციხის მახლობლად, სამარხში რომ სალამურიანი ყმაწვილი იპოვეს, იქნებ იმისი ჯიში და ნათესავი ხარ-მეთქი.

რატომაც არა, მცხეთა და ჩემი სოფელი გვერდი-გვერდ არიან, თანაც, კელაპტრიშვილები ბევრი უკრავს, ზოგი სალამურს, ზოგი დუდუკსო — მიპასუხა.

...უკრავდა კავთისხეველი მესალამურე...

იღვრებოდა „ჰანგი — სიყვარულზე წმინდა..."

უკრავდა...

წიქარაზე გადამჯდარი ნაღვლიანი მწყემსი ბიჭის საკრავს დიდპატარას აყვარებდა...

„მთავარი დამსახურება ომარისა მაინც ის არის, რომ საქართველოში პირველმა სწორედ მან აამღერა უმაღლეს დონეზე, თითქმის მივიწყებული სალამური და, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია, სხვებს —აუარება ბიჭუნებს შეაყვარა იგი" — ეს ანზორ ერქომაიშვილის სიტყვებია.

„ამ კონცერტის მწვერვალად იქცა ომარ კელაპტრიშვილის გამოსვლა, რომელიც წარმოუდგენელი ვირტუოზულობით უკრავდა არა მარტო ერთ, არამედ ორ სალამურზე ერთად..." — ეს „ზაარბრიუკენ ცაიტუნგიდან" არის ამოწერილი.

მეც მქონდა ბედნიერება ერთიორი თბილი სიტყვა მეთქვა შენს უზადო ნიჭზე, ძმაო ომარ!

დღეს სანუგეშოდ ისღა გვრჩება, რომ ამ ნიჭის ელვარებას ვიდეოფირებზე მაინც ნახავენ მომავალი თაობები...

შენ ვალმოხდილი „მიუხვალ მამა-პაპათა", მიუხვალ კელაპტარივით დამწვარი მამულისა და მშობლიური ხელოვნების სიყვარულში...

შენ ვალმოხდილი მიუხვალ უსახელო მესალამურეს და შენსავით ნაადრევად წასულ ძმას, ჩვენს საერთო სევდასა და ტკივილს — ჰამლეტ გონაშვილს.

ნათელში გამყოფოთ მამაზეციერმა.

ვილენ მარდალეიშვილი.

მაგ ხმის ნათელი

ომარ კელაპტრიშვილს

ცას შერევია —
მაგ ხმის ნათელი.
მამულის ძარღვთან
რა ახლოს მიხველ.
გალობ და ჰყვავის —
მცხეთის კალთები,
სტირი და კვნესის —
არმაზის ციხე...
...ჩანს ლერწმის ყელში
მინდვრები ქართლის,
დიდგორის ველი —
რას ფიქრობს გულში,
შენ ხარ ცრემლები —
ობოლი ბალღის
და გულის ჭავრი —
ამაყი თუშის...
...ბფერავ ხბოს ტყავზე
დაწერილ ეტრატს.
ცას უერთდები,
შენ იწვი როცა.
სიცოცხლე შენ და
პატარა ლერწამს,
რომ ალავლინოთ —
მამულზე ლოცვა!..

თემურ ჩალაბაშვილი.

მშვიდობით, ომარ!

მე და ომარი ჯერ კიდევ კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელში დავმეგობრდით. თავიდანვე მოხიბლული ვიყავი მისი ნიჭიერებითა და დახვეწილი ხელოვნებით. ვირტუოზი — ეს ტიტული ცოტაც კია ომარ კელაპტრიშვილისათვის.

როგორც კაცი — პირდაპირი და შეუვალი გახლდათ. ყველაფერს მხოლოდ უშუალო ნიჭიერებით აღწევდა. ბოლოს ერთი საიდუმლოებაც გამანდო: უნდოდა ქართული ცეკვა ორკესტრის თანხლებით დაგვედგა. სამწუხაროდ, მხოლოდ ორი ნომრის ჩაწერა მოვასწარით. დანარჩენი არ გვაცალა ღმერთმა...

ვის ვუთხრა სამძიმარი: ანსამბლ „რუსთავს" მეორე ვარსკვლავიც მოსწყდა, საოცარი — ჰამლეტი, საოცარი — ომარი. ასე მიმაჩნდით და მიმაჩნიხართ დღესაც ძმებო, ჩემს დამწუხრებულ გულს ერთი დიდი ტკივილიც მოემატა. მშვიდობით, ომარ!

ფრიდონ სულაბერიძე.

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა" და საქინფორმის კორესპონდენტები

ამ დღეებში

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

სტუმრები კრასნოდარიდან

ბათუმში ჩამოვიდა კრასნოდარის მხარის ადმინისტრაციის მეთაურთან არსებული ეკონომიკური საბჭოს წევრი, ყუბანის კაზაკთა ასოციაცია „რუსეთის" საბჭოს წევრი ვიაჩესლავ დუბინინი.

ბათუმის აეროპორტში სტუმარსა და მის თანმხლებ პირებს დახვდა აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე.

ჟურნალისტებთან საუბარში ბატონმა ვ. დუბინინმა თქვა, რომ მისი ვიზიტის მიზანია ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური ხელშეკრულების დადება აჭარასთან, რომლის ხელმძღვანელობა ძალ-ღონეს არ იშურებს რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნებისათვის.

ბატონმა ა. აბაშიძემ აღნიშნა, რომ აჭარა ესწრაფვის დაამყაროს ცივილიზებული ურთიერთობა ყოფილი სსრ კავშირის რესპუბლიკების ხალხებთან და საზღვარგარეთთან. უწინარეს ყოვლისა უნდა ვიზრუნოთ საქართველოს გაძლიერებისა, მისი პრესტიჟის განმტკიცებისათვის, თქვა მან. რაც შეეხება ხელშეკრულებას კრასნოდარის მხარესთან, ეს პერსპექტიული საქმეა და ყველაფერი გაკეთდება იმისათვის, რომ ჩვენი პარტნიორული ურთიერთობა განვითარდეს.

შემნახველი ბანკი გარანტიას იძლევა

მოქალაქეები, რომლებმაც 22 ივლისიდან 9 აგვისტოს ჩათვლით საქართველოს სახელმწიფო კომერციულ შემნახველ ბანკებში ფულადი ანაბრები შეიტანეს, მათ გაორკეცებული ოდენობით მიიღებენ მომავალი წლის 10 აგვისტოდან. რაც შეეხება ფულის ნიშნებს, უახლოეს მომავალში შემნახველ ბანკს ამ საკითხში არავითარი პრობლემა აღარ ელის. ეს ცნობა საქინფორმის კორესპონდენტმა მიიღო ბანკის მმართველის პირველი მოადგილის დიზო ტაბატაძისაგან.

ყველა დანარჩენ პირს, რომლებსაც შემნახველი წიგნაკები აქვთ, შეუძლიათ დაუბრკოლებლად, მათი წარდგენისთანავე, შემნახველი ბანკისაგან მიიღონ ნებისმიერი თანხა, რომელიც მათ ანგარიშზე ირიცხება, რა თქმა უნდა, გარკვეული პროცენტული დანამატის გათვალისწინებით. ამ შემთხვევაში გამონაკლისს შეადგენენ ისინი, რომელთა ანგარიშზე ფული გადმოირიცხა რესპუბლიკის ფარგლებს გარედან. ამ დროს მათ ანგარიშზე რიცხული ფული უკან გადაეგზავნებათ იმ ადრესატებს, ვინც ისინი ჩარიცხა. დ. ტაბატაძე ამას იმით ხსნის, რომ ამგვარი გადარიცხვები, რომლებიც დაკავშირებული არ არის რეალური ფულის ნიშნების ჩარიცხვასთან, წარმოადგენს, ეგრეთ წოდებულ, ფულის გამოცოცხლებას საკუთარი სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ, რაც უდავოდ ხელს უწყობს კრიზისული სიტუაციის შექმნას რესპუბლიკაში ფულადი ნიშნების დეფიციტის შესაძლო მორიგი პროცესის დაწყებასთან დაკავშირებით.

თენგიზ ჩხიკვაძე.

გადაწყვეტილება აღარ შეიცვლება

1 სექტემბერს — სკოლისაკენ!

როგორც საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს სასწავლებლების დაწესებულებების სამმართველოს უფროსმა ბატონმა ჯანსულ კორძაიამ და მისმა მოადგილემ ბატონმა ენგურ ქურციკიძემ გვაცნობეს, ყველა ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო წელი 1 სექტემბერს დაიწყება. ეს გადაწყვეტილება მიიღო საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ 1992 წლის 5 ივნისს (ბრძანება № 196).

სკოლის მოსწავლეებთან ერთად 1 სექტემბერს სწავლას შეუდგებიან შემდეგი უმაღლესი სასწავლებლები: სახელმწიფო უნივერსიტეტი, ზოოვეტერინარული ინსტიტუტი და პერიფერიების უმაღლესი სკოლები.

15 სექტემბრიდან სწავლას დაიწყებენ და ლექციებს დაესწრებიან სამედიცინო ინსტიტუტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები. რაც შეეხება აგრარულ უნივერსიტეტს, სწავლების დაწყების დრო ჯერ დაუდგენელია.

როგორც ცნობილია, უმაღლეს სასწავლებლებს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 17 იანვრის დადგენილებით მინიჭებული აქვთ ავტონომია. ამდენად სწავლის დაწყების დროს ისინი თვითონვე აწესებენ.

ერთი სიტყვით, განათლების სამინისტრო სრულ გარანტიას იძლევა, რომ სკოლის მოსწავლეები სწავლას უცილობლად 1 სექტემბერს დაიწყებენ. ასეა თუ ისე, განათლების სამინისტრო თავის გადაწყვეტილებას ჯერჯერობით არ ცვლის, ისე რომ, მშობლებს, შეუძლიათ მოემზადონ ახალი სასწავლო წლის დასაწყებად.

ია კალანდარიშვილი.

სიმართლე კი ასეთია

ამ დღეებში ტელეკომპანია „ოსტანკინოს" და რუსეთის სატელევიზიო საინფორმაციო პროგრამების წამყვანი თემა გახდა აფხაზეთის ამბები.

18 აგვისტოს რუსეთის სატელევიზიო პროგრამა „ვესტის" დიქტორმა ჟურნალისტმა მიხეილ პონომარიოვმა ამცნო ტელემაყურებლებს, საქართველოში შექმნილი ქაოსის გამო ყველა კურორტი დაკეტილიაო. ვფიქრობთ, ცეცხლზე ნავთის გადასხმად აღიქვა ამ დეზინფორმაციის ავტორმა მისივე კოლეგის, ტელეკომპანია „ოსტანკინოს" სატელევიზიო საინფორმაციო პროგრამა „ნოვოსტის" დიქტორის, ჟურნალისტ ტატიანა კომაროვას 17 აგვისტოს ნაშუადღევის საინფორმაციო გამოშვებაში გაკეთებული განცხადება იმის თაობაზე, რომ სოხუმის სანატორიუმიდან სასწრაფოდ ხდება რუსი ეროვნების 4 ათასზე მეტი დამსვენებლის ევაკუაცია.

„ოსტანკინოდან" დანახული საქართველოს კურორტები

ტატიანა კომაროვამ ჯერჯერობით მხოლოდ რუსი ეროვნების დამსვენებელთა დათვლა მოასწრო. ალბათ, სხვა ეროვნების დამსვენებლებსაც დაითვლის და მაშინ „ვესტის" დიქტორის მიხეილ პონომარიოვის მიერ დაკეტილ კურორტებზე ათასობით დამსვენებლის ყოფნა დაფიქსირდება.

„ვესტის" დიქტორს ქართველი კოლეგებისთვის რომ ეკითხა, ობიექტურ ინფორმაციას მიაწოდებდნენ. მართალია, დღეს საქართველოში რთული პოლიტიკური ვითარებაა, მაგრამ ყველაფერი კეთდება ქვეყნის სუვერენიტეტისა და მთლიანობის განსამტკიცებლად, რისი დანახვაც, სამწუხაროდ, არ სურს „ოსტანკინოს" ტელეანძიდან საქართველოსაკენ მაცქერალ ზოგიერთ ჟურნალისტს. ადვილად ჩავწვდით „ვესტის" კოლეგის შენიღბულ აზრს. დაკეტილი კურორტების ფონზე მას საქართველოში გაჩაღებული ადამიანების გატაცებისა და ხოცვა-ჟლეტის სურათის მუქ ფერებში დახატვა სურდა.

იქნებ ამ ინფორმაციას კოლექტიური ავტორიც ჰყავდეს და მარტო პონომარიოვს ნუ დავაკისრებთ პასუხისმგებლობას. ვენდობით ჩვენს კოლეგას ტატიანა კომაროვას, რომელმაც უნებლიედ გააქარწყლა მიხეილ პონომარიოვის დეზინფორმაცია. იმის გასარკვევად, დაკეტილია თუ არა ცნობილი კურორტები, ბორჯომს ვეწვიეთ.

— 370-ადგილიან ოჯახური დასვენების პანსიონატ „პლატოში" ამჟამად არც ერთი თავისუფალი ადგილი არა გვაქვს, — გვითხრა მისმა დირექტორმა ნოდარ ტაბატაძემ. — თუ „ვესტის" ან „ნოვოსტის" ჟურნალისტები გვესტუმრებიან, სამუშაო კაბინეტებს დავუთმობთ, ან ოჯახებში დავაბინავებთ. ქართველებს სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციები ჯერ არ დავვიწყებია და ღმერთმა ნუ ქნას ოდესმე დაგვავიწყდეს.

— ბორჯომის ხეობის სანატორიუმებში, პანსიონატებში, დასასვენებელ და ტურისტულ ბაზებში, შემოქმედებითი სახლებში დღეისათვის ერთდროულად 4 ათასამდე ადამიანი ისვენებს, განაგრძობს საუბარს სანატორიუმ „ბორჯომის" მთავარი ექიმი დავით გიგინეიშვილი, — როგორ შეიძლება დაკეტილად ჩაითვალოს კურორტი, როდესაც მიმდინარე საზაფხულო სეზონის მანძილზე ათასობით საგზურიანი დამსვენებელი გვეწვია. თუ მათ უსაგზუროდ ჩამოსულთა რიცხვსაც დავუმატებთ, სხვა სურათს მივიღებთ. მინდა ობიექტური ვიყო და აღვნიშნო, რომ დღევანდელი მონაცემები, ბუნებრივია, ხუთი წლის წინანდელ მაჩვენებლებზე უარესია, მაგრამ ამ რთულ პოლიტიკური სიტუაციის ვითარებაში მეტის მოთხოვნის უფლება არა გვაქვს. იმ დღეს, როცა „ვესტის" დიქტორმა საქართველოს კურორტები დაკეტილად გამოაცხადა, საბაზო სანატორიუმ „ლიკანში", სანატორიუმ „ბორჯომ-ლიკანში", „მთის ხეობაში", „ფირუზაში", სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირების სანატორიუმ „ბორჯომში" 2500-მდე დამსვენებელი იყო. ალბათ, „ვესტის" დიქტორს ტურბაზისა და „კომპოზიტორთა შემოქმედებითი სახლის" ასობით სტუმრებიც უსმენდნენ და, ბუნებრივია, გაკვირდებოდნენ.

— ნუთუ ჩვენი ხუთასამდე დამსვენებელი, რომელთა შორის ბავშვები და ქალები ჭარბობენ, „მკვდარ სულებად" ჩაგვითვალეს. — განცვიფრებას ვერ მალავს პანსიონატ „კეჩხობის" დირექტორი ელგუჯა ორჯონიკიძე. — ალბათ, ვიღაცას აღიზიანებს, რომ წელს საქართველოს კურორტებზე ძირითადად ჩვენი რესპუბლიკის მკვიდრნი ისვენებენ. საგზურები რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც — ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში გავგზავნეთ, მაგრამ რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებული არაობიექტური ინფორმაციების გამო, ჯერჯერობით ჩვენთან ჩამოსვლისგან თავს იკავებენ. თუმცა, თუ პროგრამა „ნოვოსტის" დიქტორს დავუჯერებთ, მარტო სოხუმის სანატორიუმებში ერთდროულად 4 ათასზე მეტი რუსი ეროვნების ადამიანი ყოფილა.

— გაოცებული ვარ, ამ საერთო გაჭირვების ჟამს როგორ მოახერხა სანატორიუმ „ბორჯომის" ხელმძღვანელობამ რიგიანი კვებისა და მკურნალობის პირობების შექმნა, — ამბობს ამ სანატორიუმის დამსვენებელი, თბილისის გეოფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი შოთა დიასამიძე.— სანატორიუმში შესაშური წესრიგი, სისუფთავე, თავაზიანობის ატმოსფერო სუფევს, პროფესიონალი ექიმების, მედდების თუ სასადილოს თანამშრომელთა გულთბილობა და ღიმილი საუცხოო გუნება-განწყობილებას გვიქმნის.

არ შეიძლება სიამოვნება არ მოგანიჭოს დამსვენებელთა საღმა აზრმა. გვინდა ვთხოვოთ რუს კოლეგებს: ნუ ცდილობენ იმ ხიდის დანგრევას, რომელიც ერთმანეთთან გვაკავშირებს. თავისუფალი, დემოკრატიული რუსეთის კეთილი ნების ადამიანებს თავისუფალი, დემოკრატიული საქართველო მრავალსაუკუნოვანი ტრადიციული სტუმართმოყვარეობით მომავალშიც უმასპინძლებს.

რობერტ ცუცქირიძე.

ეს ჩვენი საქართველოა!



თელეთის მონასტერი.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

მოძრაობა აღდგენილია

მილიონ მანეთზე მეტი დახარჯა საქართველოს რკინიგზის სამმართველომ ინგირისა და სალხინოს სადგურებს შორის 365-მეტრიანი ხიდის აღსადგენად, რომლის ერთ-ერთი მალი ამ ცოტა ხნის წინათ ააფეთქეს ბანდიტებმა. ამის გამო, როგორც ცნობილია, შეწყდა მატარებლების მიმოსვლა ყოფილი სსრ კავშირის რესპუბლიკებიდან საქართველოს, სომხეთის მიმართულებით და პირიქით. რესპუბლიკის მშენებლებმა უკვე მთლიანად გადასცეს საექსპლოატაციოდ სარკინიგზო არტერიის ეს ნაწილი. 20 აგვისტოს ნაშუადღევისთვის აქ აღდგება მატარებლების მოძრაობა. მაგრამ რკინიგზის ხიდებსა და გვირაბებს ჯერჯერობით კვლავ იცავს სამმართველოს გასამხედროებული დაცვა. თუმცა, მას არ ძალუძს დაიცვას ეს ობიექტები დივერსანტებისგან. უახლოეს დღეებში მათ შეცვლიან თავდაცვის სამინისტროს ძალები. საბედნიეროდ, უკანასკნელი ორი დღე-ღამის განმავლობაში რკინიგზაზე არ მომხდარა არავითარი განსაკუთრებული მოვლენა. ეს საქინფორმის კორესპონდენტს თენგიზ ჩხიკვაძეს აცნობა რკინიგზის უფროსის პირველმა მოადგილემ ოლეგ ბიჭიაშვილმა.

ქრონიკა

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ გაათავისუფლა:

ნოდარ ქურუკის ძე გიორგაძე — საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობიდან პირადი განცხადების საფუძველზე.

თეიმურაზ დავითის ძე კორძაია — საქართველოს რესპუბლიკის კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან.

ჩოგანი

სტამბოლიდან—გამარჯვებით

წარმატებით გამოვიდნენ ქართველი ფალავნები 1976-77 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში. სტამბოლში გამართულ ასპარეზობაში, რომელშიც 38 ქვეყნის წარმომადგენლები გამოდიოდნენ, გუნდურ ჩათვლაში პირველობა მოიპოვეს საქართველოს ფალავნებმა. მათ 88 ქულა მოაგროვეს და უკან ჩამოიტოვეს თურქეთის (77) და რუსეთის (62) მოჭიდავეები, რომლებმაც შესაბამისად მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს.

გუნდი, რომელსაც უფროსი მწვრთნელი ვლადიმერ ზურაბიანი ხელმძღვანელობს, სრული შემადგენლობით გამოდიოდა თერთმეტსავე წონით კატეგორიაში და 7 მედალი მოიპოვა — 3 ოქროს და 2-2 ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები.

მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ მარტყოფელი ტარიელ მელელაშვილი (65 კილოგრამამდე წონითი კატეგორია), ოზურგეთელი ბესარიონ ზურაბიანი (70 კილოგრამამდე) და მძიმე წონის თერჯოლელი ფალავანი მირიან გიორგაძე. ვერცხლის მედლები გადაეცა კიდევ ორ ოზურგეთელს — კობა ბალავინოვს (43 კილოგრამამდე) და თენგიზ სირაძეს (51 კილოგრამამდე). მესამე ადგილები დაიკავეს ქუთაისელმა კახაბერ ცერამუამ (56 კილოგრამამდე) და რუსთაველმა გელა ქარქუზაშვილმა (83 კილოგრამამდე).

უძრავი ქონების ბირჟა „უტა" აცხადებს, რომ იყიდება

ერთი, ორი, სამი და ოთხოთახიანი საცხოვრებელი ბინები ქ. თბილისის სხვადასხვა რაიონებში, აგრეთვე აგარაკები: წყნეთში, კიკეთში, მარტყოფში და ახლო მდებარე რაიონებში, აგრეთვე შენობა ოფისისათვის.

პირობების გასაგებად გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, იოანე პეტრიწის ქ. № 27. ტელეფონი: 98-92-78 ან 98-92-79.

რუსეთის ცენტრალური ბანკის ცნობა

რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკი იუწყება, რომ 1992 წლის 19 აგვისტოდან დადგენილია უცხოური ვალუტების შემდეგი კურსი რუსეთის ფედერაციის მანეთის მიმართ.

1 ავსტრალიური დოლარი	117 მან.	41 კაპ.
1 ავსტრიული შილინგი	15 მან.	82 კაპ.
1 ინგლისური გირვანქა სტერლინგი	318 მან.	11 კაპ.
10 ბელგიური ფრანკი	58 მან.	81 კაპ.
1 გერმანული მარკა	111 მან.	12 კაპ.
1 ჰოლანდიური გულდენი	98 მან.	69 კაპ.
1 დანიური კრონი	28 მან.	84 კაპ.
100 იტალიური ლირა	14 მან.	65 კაპ.
1 კანადური დოლარი	136 მან.	15 კაპ.
1 ნორვეგიული კრონა	28 მან.	20 კაპ.
1 ამერიკული დოლარი	162 მან.	50 კაპ.
1 ფინური მარკა	40 მან.	53 კაპ.
1 ფრანგული ფრანკი	32 მან.	77 კაპ.
1 შვედური კრონა	30 მან.	53 კაპ.
1 შვეიცარიული ფრანკი	123 მან.	76 კაპ.
10 იაპონური იენი	12 მან.	89 კაპ.
1 ეკიუ	226 მან.	04 კაპ.
10 ესპანური პესეტა	17 მან.	30 კაპ.
10 ბერძნული დრაჰმა	8 მან.	98 კაპ.
1 ირლანდიური გირვანქა	294 მან.	78 კაპ.
1 ისლანდიური კრონა	2 მან.	99 კაპ.
1 კუვეიტური დინარი	558 მან.	04 კაპ.
10 ლიბანური გირვანქა	0 მან.	69 კაპ.
10 პორტუგალიური ესკუდო	12 მან.	97 კაპ.
1 სინგაპურული დოლარი	100 მან.	87 კაპ.
10 თურქული ლირა	00 მან.	23 კაპ.
1 ამერიკული დოლარი ინდოეთთან 1992 წლის ანგარიშსწორების მიხედვით	162 მან.	50 კაპ.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციას

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის მეშვეობით მადლობა გადავუხადო ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, ყველას, ვინც ჩემი შვილის მძევლობიდან განთავისუფლებისთვის იღვწოდა, განსაკუთრებით — ჩემთვის უცნობ იმ ადამიანებს, რომლებმაც მისი დახსნის ოპერაცია უსისხლოდ დაამთავრეს, ყველას, ვინც ამ, ჩვენთვის მძიმე დღეებში მხარში გვედგა და გვამხნევებდა, მადლობა თქვენი რედაქციის კოლექტივს.

იმედი მაქვს, რომ ჩემთან ერთად სულ მალე გაიხარებენ ბატონების დავით სალარიძისა და ზიბერტ ხაზალიას ახლობლებიც, მათი შინ დაბრუნებით.

ელზა მაჭავარიანი-კავსაძე.

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

○ მისამართი, 380096, თბილისი მ. კოსტავას ქ. № 14.
○ ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

ინდექსი 66484